ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

პარასკევი, 12 დეკემბერი, 2014 | 1294 (6605) | აფცბ5 №) სტსჰბ

12 დეკემბრიდან!

ახალ თაობასთან" ერთად

ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება

ტომი 1

აფცბ უფპტსსფყ ტჰსფლ § კფჰბ



# ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ღარიბაშვილს მეთვალყურეები მიუჩინა?



## რას ემსახურება საკადრო ცვლილებები მთავრობაში

გვ.3

ʻკოზანოსტჩას~ ღიღეჩს სჩვევია, თვითონ გახღეს ეჩთპიჩოვნულაღ აჩა მხოლოღ პჩოცესების მმაჩთველი, აჩამეღ იმ ქონების მიმთვისებელი, ჩომელიც ეკუთვნის ხალხს ღა ისე იქცევა ამ შემთხვევაში, ჩოგოჩც მაფიოზუჩი კლანის ხელმძღვანელი ʻღონ ბიძინა ჭოჩვილსკი~ ღა ანგაჩიშს უსწოჩებს იმ კლანის, კახუჩი ღაჯგუფების წაჩმომაღგენლებს, ჩომლებსაც, ჩოგოჩც ჩანს, ხელი წაუცღათ ლომის წილზე~.



## გია ხუხაშვილი: ღარიბაშვილი გამოცდას თუ ვერ ჩააბარებს, მთავრობის ნდობის საკითხი დადგება"

გვ.2

„ხელისუფლება ივანიშვილს აიძულებს, პროცესებში ჩაერთოს"



## სევდია უგრეხელიძე: ნარმანია ყურს არ იბერტყავს, რაში დაიხარჯა თბილისობაზე მილიონი ლარი?"

გვ.4

მერიაში ძალიან ბევრი დარღვევაა

## ვალერი გელბახიანი: ლარის კურსის ვარდნა მაქინაცია იყო"

გვ.5

აჩ შეიძლება, ეჩთ ღღეში ათი ეჩთეულით ხღებოღეს ეჩოვნული ვალუტის კუჩსის ღაცემა მაშინ, ჩოცა ეკონომიკა, ფაქტობჩივაღ, აჩა გვაქვს, თითქმის აჩ გაგვაჩნია წაჩმოება ღა ექსპოჩტი. ასეთ ღჩოს ასეთი ჩამ აჩ ხღება.



„ვადამდელ არჩევნებამდე მივალთ"



გვ.6

## თიბილოვი: სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა გვინდა

„გამოვედი ინიციატივით, რომ მომავალ შეთანხმებაში განხილული იყოს სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში პირდაპირი შესვლის შესახებ საკითხი, ვიდრე სხვა ფორმები იქნება შემოთავაზებული. არსებობს ქვეყნების პოლიტიკური თანაარსებობის სხვადასხვა ფორმა. ვფიქრობ, უახლოეს დროში მივიღებთ პასუხს ამ შეთავაზებაზე".

ISSN 1987-9385
9 771987 938006

# გია ხუხაშვილი: ღარიბაშვილი გამოცდას თუ ვერ ჩააბარებს, მთავრობის ნდობის საკითხი დადგება“

## „ხელისუფლება ივანიშვილს აიძულებს, პროცესებში ჩაერთოს“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში განვითაიებუღ პოღიტიკუი პიოცესებს 'ახაღ თაობასთან~ ინტეიპვიუში ექსპეიტი გია ხუხაშვიღი აფასებს.**

***— ბატონო გია, საკმაოდ იმატა ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებებმა. ამბობენ, რომ ღარიბაშვილის გუნდმა არ გაამართლა და ივანიშვილი ამით ძალიან განაწყენებულია. ასეა?***

— ქვეყანაში ძალიან ბევრი მიმართულებით შეიქმნა სერიოზული რისკები, რაც ხელისუფლებას უბიძგებს იმისკენ, რომ მიიღოს სისტემური გადაწყვეტილებები ანუ სერიოზული გადახალისება მოხდეს. ალბათ, ეს ნაბიჯებიც ამისთვის იდგმება. თუმცა იბადება კითხვები, რადგან ის ადამიანები, რომლებიც ბოლო ხანებში გათავისუფლდნენ, გამომდინარე იქიდან, რომ არ უკავშირდებიან არც ერთ პოლიტიკურ ძალას, უნდა ვივარაუდოთ, რომ პირდაპირ კავშირში იყვნენ პრემიერ ღარიბაშვილთან, მისი ნდობით აღჭურვილი პირები იყვნენ და ეს სისტემა, როგორც ჩანს, აგებული იყო მთლიანად იმავე ჯანყარაშვილზე. ჯანყარაშვილი პირველად სწორედ იმ მოტივით წავიდა თანამდებობიდან, რომ არ უნდოდა, პრემიერი უხერხულობაში ჩაეყენებინა. ნაკლებად ლოგიკური იყო, როცა ის მეორედ შემობრუნდა სისტემაში. პრემიერმა ეს ასე ახსნა, რომ ვინაიდან ის პარტიაზე იღებდა პასუხისმგებლობას, მას სჭირდებოდა ნდობით აღჭურვილი პირი და ასეთად ეგულებოდა ჯანყარაშვილი. ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან ეს ნიშნავდა მის გარკვეულ სისუსტეს — ნუთუ ვერ მოიძებნა სხვა უფრო სანდო ადამიანი, გარდა იმისა, ვინც ერთხელ უკვე დატოვა თანამდებობა?! ეს სისუსტეა, როდესაც ადამიანს აქვს ასეთი მოკლე სარეზერვო სკამი. ახლა მეორე ტალღა წამოვიდა და ეს ყველაფერი დაიწყო იმავე ჯანყარაშვილისგან, რასაც მოჰყვა მთელი სერია გადადგომებისა.



***— ყველა მისი კადრი იყოო...***

— მედია ეძებს ამ კავშირებს და არის ამაში გარკვეული ლოგიკა, რომ ეს ადამიანები რაღაცნაირად ამ სისტემაზე იყვნენ აგებულნი, რომლებიც გათავისუფლდნენ ბოლო პერიოდში. ეს პრემიერისთვის მძიმე გადაწყვეტილებაა. კარგია, რომ მან შეძლო ასეთი მძიმე გადაწყვეტილების მიღება. თვითონაც ტესტის ჩაბარება უწევს. რამდენად შეძლებს გადაჯგუფებას ახალ რეალობაში, რამდენად შეძლებს იმას, რომ სახელმწიფოს მართვა ააგოს არა პიროვნულ ნდობაზე, არამედ პროფესიონალიზმზე. ძლიერი მენეჯერი სუსტისგან ზუსტად ამით განსხვავდება, რომ სანდოებს კი არ ეძებს, ეძებს პროფესიონალებს და მათ მართვას ახერხებს. წარმატება ვუსურვოთ პრემიერს, რადგან, თუ ამას ვერ შეძლებს, მაშინ უკვე...

***— რა იქნება მაშინ? დადგება დღის წესრიგში მისი ჩანაცვლების საკითხი?***

— ქვეყანა დგას ისეთი სერიოზული გამოწვევების წინაშე, რომ თუ ის ამ ტესტს ვერ ჩააბარებს, ეს არ იქნება მხოლოდ მისი წარუმატებლობა. ეს იქნება მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლების წარუმატებლობა და ხელისუფლებას მოუწევს შემდეგი მსხვერპლშეწირვა, რომელიც იმაზე დიდი უნდა იყოს, რაც წინა იყო. იმაზე დიდი, რაც მოხდა უკვე, შეიძლება იყოს მთავრობის ნდობა. თამასა იმდენად მაღალი იქნება, რომ სხვა ვარიანტი აღარ იარსებებს და დადგება მთავრობის ნდობის საკითხი.

***— თუ ასე მოხდა, რამდენად კრიზისული სიტუაცია შეიქმნება?***

— სამთავრობო კრიზისი, გამომდინარე იქიდან, რა სიტუაცია გვაქვს პარლამენტში უმრავლესობასთან დაკავშირებით, გრძელვადიან კრიზისში არ გადაიზრდება. მე ვერ ვხედავ ამაში რაღაც განსაკუთრებულ დრამატულს, ის არ მოახდენს მთლიანად სახელისუფლებო კრიზისის დეტონაციას. მთავარია, შევძლოთ პოზიტივის შემოტანა. ეს აღმასრულებელი ხელისუფლება იქნება თუ სხვა, ორივეს აქვს ძალიან მძიმე ამოცანები, ძალიან მძიმე გამოწვევები. ეს იქნება ეკონომიკაში, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში, ასევე საგარეო გამოწვევებია სერიოზული, საშინაოც... დღეს ხელისუფლებაში ყოფნა ნამდვილად არ არის კომფორტული. ეს ძალიან დიდი ტვირთია.

***— კრიზისიდან გამოსვლაში ღარიბაშვილს ივანიშვილი ეხმარებათ. რამდენად არის ეს ასე?***

— ფაქტია, რომ დღესაც კი პოლიტიკა საქართველოში ბიძინა ივანიშვილის ნიშნით მიდის, მიუხედავად იმისა, ეს მისი არჩევანია თუ არა. ღარიბაშვილი და დღევანდელი აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად დგას მის ავტორიტეტზე. ბიძინა ივანიშვილს შეიძლება ეს მოსწონდეს ან არ მოსწონდეს, მაგრამ ის, როგორც ავტორიტეტი, აღიარებულია და ხელისუფლება ცდილობს, მათ შორის აღმასრულებელიც, მასზე გადაიტანოს პასუხისმგებლობის გარკვეული ნაწილი. ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილი ამ პასუხისმგებლობაზე უარს ვერ იტყვის, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას ეს ქვეყანა უყვარს, პატრიოტია ამ ქვეყნის და, რაღაცა თუ არასწორად ხდება, ის ყოველთვის განწყობილია იმისთვის, რომ დაეხმაროს პრობლემების მოგვარებაში. არა მგონია, ივანიშვილი თვითონ იყოს ჩარევის ინიციატორი მართვაში. თვითონ ხელისუფლებიდან მოდის მუდმივად, გადაჭარბებულად მისი ჩათრევა პოლიტიკურ ყოველდღიურობაში. ხელისუფლებას როგორც კი გაუჭირდება, მაშინვე გარბიან მასთან, რადგან თვითონ არ აქვთ პრობლემების მოგვარების სრულფასოვანი რესურსი. არ ფლობენ კრიზისების მართვის სრულფასოვან ინსტრუმენტებს და მიჩვეული არიან ასეთ კომფორტს, რომ პასუხისმგებლობა ივანიშვილს გადააბარონ...

***— და მან მოუგვაროს პრობლემები?***

— დიახ, მან მოუგვაროს პრობლემები კრიტიკულ მომენტში. ასე რომ, როდესაც ივანიშვილზე ამბობენ, რომ ის კულისებიდან მართავს, ჩემი აზრით, ეს არ არის სამართლიანი მის მიმართ, რადგან მას ამის სურვილი ნამდვილად არ აქვს და, თუ უწევს კონსულტირება, ეს მხოლოდ იძულებითი ნაბიჯებია და ამისკენ მას უბიძგებს ხელისუფლების მუდმივი სურვილი, რომ რაღაცნაირად ჩართონ პროცესებში.

***— თქვენ არ ვარაუდობთ მის პოლიტიკაში მობრუნებას? ბოლო პერიოდში უკვე აქტიურად საუბრობენ ამაზე...***

— ივანიშვილის მობრუნება მოხდება ერთადერთ შემთხვევაში, თუ მან ჩათვალა, რომ ამ ხელისუფლებამ ამოწურა ყველა რესურსი იმისათვის, რომ რაღაც პოზიტივი მოუტანოს ამ ქვეყანას. ივანიშვილს ეს ნათქვამი აქვს თავის დროზე, რომ ის ყველაფერს გააკეთებს, რათა ეს არ გახდეს საჭირო, მაგრამ, თუ რაღაც ფორსმაჟორი მოხდა, მაშინ ის მზად არის, ეს ნაბიჯი გადადგას. მე მაინც ვისურვებდი, რომ ისე დრამატულად არ განვითარებულიყოს სიტუაცია ქვეყანაში, რომ მას მოუწიოს ამ პირობის შესრულება.

***— დღეს აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ შეცვლილი კადრების ადგილზე ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირები ინიშნებიან. მან დაკარგა ნდობა ღარიბაშვილის მიმართ?***

— არა მგონია, აქ ღარიბაშვილზე იყოს ლაპარაკი. შესაძლოა, ღარიბაშვილის ყურადღების მიღმა ყალიბდებოდა ის სისტემა, რომლის ჩანაცვლებაც დღეს ხდება. ვერც იმას ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ივანიშვილის კადრები ინიშნებიან ამ ადგილებზე. ერთადერთი, რაც შეიძლება ამის მიმანიშნებელი იყოს, ეს არის ანზორ ჩუბინიძის დაბრუნება თავის ყოფილ თანამდებობაზე.

***— საუბრის ბოლოს ზვიად ჯანყარაშვილზე გკითხავთ. ამბობენ, რომ მან ბიზნესსექტორი საკმაოდ გაანაწყენა, რადგან ბიზნესი მთლიანად მისგან და მისი გარემოცვისგან იმართებოდა. რამდენად იყო ასე? თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ?***

— არ ვიცი, მე უკვე ჩამოშორებული ვარ ამ სფეროს. თავის დროზე ჩემზეც ბევრს ლაპარაკობდნენ, რაც აბსოლუტური აბსურდი იყო... ჯანყარაშვილთან დაკავშირებით სად არის სიმართლე და სად — ტყუილი, გამიჭირდება ამის დიაგნოსტირება. ამას მომავალი აჩვენებს. მას შემდეგ, რაც მე ჩამოვშორდი, ყველამ გაიგო, რომ არანაირი კავშირი ბიზნესთან არ მქონდა. თუ ჯანყარაშვილს ამასთან რაიმენაირი კავშირი ჰქონდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ან თავად ბიზნესმენები ილაპარაკებენ, ან რაღაცნაირად გაირკვევა ეს ყველაფერი. საუკეთესო ტესტი დროა. დრო გამოაჩენს, ადამიანი რეალურად გახვეული იყო თუ არა ამგვარ მაქინაციებში. დრო ყველაფერს ალაგებს. ასე რომ, დაველოდოთ და ყველაფერი გამოჩნდება.

## ტერიტორიული პრობლემების მოგვარების შანსი ყოველდღიურად იკლებს“

პოლიტიკური პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველო, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარების პერსპექტივას სულ უფრო და უფრო შორდება.

მისივე განცხადებით, რუსეთსა და ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას შორის გაფორმებული ე.წ. ხელშეკრულება, საქართველოსთვის ძალიან ნეგატიური ფაქტია.

„მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების მოგვარებას ყოველდღიურად ვშორდებით. ნამდვილად პასუხისმგებელი ვარ იმაზე, რასაც ვამბობ, რომ 2010 წელს, როდესაც მე რუსეთიდან ჩამოვედი, სადაც ვლადიმერ პუტინს შევხვდი, ვთქვი, რომ არსებობს ამ პრობლემის მოგვარების შანსი. დიახ, მაშინ განუზომლად უფრო დიდი იყო ამის შანსი, ვიდრე დღეს.

დღეს, ჩვენი ხელისუფლების აბსოლუტურად უგუნური მოქმედების შედეგად, ეს შანსი ყოველდღიურად იკლებს. იყო შესაძლებლობა, რომ დაგვეწყო სერიოზული დიალოგი და ამის შესაძლებლობა ახლაც არის, თუმცა ეს შანსი, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, საკმაოდ შემცირდა. ჩემი პოზიციის სისწორე, როცა მე განვაცხადე, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმება ხელისუფლების სინდისზე და განსაკუთრებით, ირაკლი ალასანიას სინდისზეა-მეთქი, კარასინმა ზუსტად დაადასტურა იმ განცხადებით, რომელსაც საინფორმაციო გადაცემაში მოვკარი ყური. კარასინის თქმით, ეს ხდება იმიტომ, რომ საქართველო აცხადებს, რომ ის უსწრაფესად უნდა გახდეს ნატო-ს წევრი და საქართველოში ნატო-ს ბაზა უნდა გაიხსნას“,— განაცხადა ნინო ბურჯანაძემ ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში.

ნიუსპრესი

## არასამთავრობო ორგანიზაციებმა ავარეთი-ყვარლის გზის მშენებლობა გააპროტესტეს

ათამდე არასამთავრობო ორგანიზაციამ ავარეთი-ყვარელის გზის მშენებლობა გააპროტესტა. საუბარია გზის იმ მონაკვეთზე, რომლითაც რუსეთის ფედერაცია საქართველოს დაუკავშირდება.

აქციის მონაწილეები, გზის მშენებლობას მცოცავი ანექსიის ხელშეწყობად აფასებენ და ხელისუფლებას დროული რეაგირებისკენ მოუწოდებენ.

არასამთავრობოების პროტესტს, პროტესტით უპასუხა ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა.

ისინი მიიჩევენ, რომ აღნიშნული გზა ერთადერთი დამაკავშირებელი საშუალებაა, რუსეთში მცხოვრებ ნათესავებთან.

ისინი აქციაზე მაისურებზე წარწერით — ღუსსია მივიდნენ და სკანდირებდნენ — „რუსეთი“, „რუსეთი“.

მხარეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა, თუმცა ინციდენტი მალევე ამოიწურა.

მედიანიუსი

## 2015 წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტი დღეს განიხილავს

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტს პარლამენტი დღეს განიხილავს. მას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური წარუდგენს.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით, ბიუჯეტის შემოსულობები 9 მილიარდ 875 მილიონი, გადასახდელები კი 9 მილიარდ 575 მილიონი ლარია.

2015 წლისთვის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 5 პროცენტია. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5,5 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი. კანონპროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით, 140 მილიონი ლარით გაზრდილია საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი და 8 030 მილიონ ლარს შეადგენს, რაც 2014 წლის გეგმურ მაჩვენებელს 800 მილიონი ლარით აღემატება.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8 090 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც ბიუჯეტის პროექტის პირვანდელ ვარიანტთან შედარებით 160 მილიონი ლარითაა გაზრდილი.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2014 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით 780 მილიონი, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით 140 მილიონი ლარითაა გაზრდილი და 7 600 მილიონ ლარს შეადგენს.

ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში ასახულია პენსიის 10 ლარით -— 160 ლარამდე გაზრდა, რის განხორციელებასაც მთავრობა 2015 წლის 1 სექტემბრიდან აპირებს.

მედიანიუსი

## ქედის გამგეობის დაცვის თანამშრომელმა თავი მოიკლა

ქედის გამგეობის დაცვის თანამშრომელმა დღეს თავი მოიკლა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით დუმბაძემ განუცხადა, შემთხვევა შუადღის საათებში გამგეობის შენობაში დაცვის თანამშრომლების მოსასვენებელ ოთახში მოხდა. მისივე განმარტებით, უცნობია, რა გახდა თვითმკვლელობის მიზეზი.

„34 წლის გელა ბეჟანიძემ, როგორც ვიცით, თავი მოიკლა. იყო გასროლის ხმა, ბიჭებმა, რომ ნახეს დაცვისთვის გამოყოფილი დასასვენებელი ოთახის კარი ჩაკეტილი იყო, როცა შეამტვრიეს კარი, დახვდათ შემდეგი სურათი — საფეთქელზე ჰქონდა ჭრილობა. ის უკვე გარდაცვლილი იყო. არ ვიცით როგორ მოხდა და რა მოხდა. გამგეობის შენობას 5 წლის განმავლობაში იცავდა, ძალიან კარგი პიროვნება იყო“, — აღნიშნა დავით დუმბაძემ.

მისივე თქმით, გელა ბეჟანიძეს მეუღლე და სამი მცირეწლოოვანი შვილი ჰყავს.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ღარიბაშვილს მეთვალყურეები მიუჩინა?

## რას ემსახურება საკადრო ცვლილებები მთავრობაში

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს მთავრობაში დიდი ამბები ტრიალებს. ამ ქვეყანაში საკადრო ცვლილებებით ვერავის გააკვირვებ. სხვა თუ არაფერი, პრეზიდენტობის ჟამს მიხეილ სააკაშვილმა მარტო მთავრობაში 100-ზე მეტი ცვლილება განახორციელა. ბოლო დღეების მანძილზე მინისტრები არ შეუცვლიათ, მაგრამ ეს ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელი იყო.**

ექსპერტების დიდი ნაწილი ამტკიცებს, რომ ამ ცვლილებების უკან ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი დგას. ამას მეოცნებეები ღიად არ ადასტურებენ. კულუარულ საუბრებში კი სხვა რამეებს ამბობენ. ისინი ღარიბაშვილის კლანის დასუსტებაზე ამახვილებენ ტურადღებას. მათივე განმარტებით, მალე ექს-პრემიერი სხვა სამთავრობო კლანსაც აუგებს წესს.

ამ დიდი ცვლილებების პირველი მერცხალი პრემიერის სიმამრის დისშვილი ზვიად ჯანყარაშვილი იყო. 2012 წლის არჩევნების შემდეგ მან შსს-ში გენისპექციის უფროსის პოსტი დაიკავა. რამდენიმე თვის უკან მან ეს თანამდებობა დატოვა და პარტია „ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივანი გახდა. მანამდე ეს პოსტი ვიცე-პრემიერ კახა კალაძეს ეკავა. ის ედგა სათავეში „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბსაც. წელს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები ხელისუფლებისთვის საკმაოდ მძიმე გამოდგა.

როგორც ამბობენ, ივანიშვილმა ეს ავტოგოლი კალაძეს არ აპატია და ის ჯანყარაშვილით ჩაანაცვლა. ამ უკანასკნელის სახელთან დაკავშირებით არაერთი სკანდალი აგორდა. მის შესახებ დეპუტატი ირმა ნადირაშვილი (რომელსაც ბებია ჯანყარაშვილი ჰყავს) ლამის ყოველდღე მართავდა ბრიფინგებს. ირმას ნაამბობს ექს-პრემიერი დიდ ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ სხვებისგანაც გაიგო ამბები. გასული კვირის დამლევს ერს ეცნობა, რომ მან პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოსტი საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. „ქართულმა ოცნებამ" ამ განცხადებას დესერტად სხვა ცნობაც დააყოლა და აღნიშნეს, რომ ჯანყარაშვილი რაიმე სახელმწიფო ან პარტიული თანამდებობის დაკავებაზე უარს აცხადებდა.

ამ განცხადების გავრცელებიდან ცოტა ხნის შემდეგ ახალი ცვლილებებს შესახებ შეიტყო საზოგადოებამ. თანამდებობები ასევე დატოვეს შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსმა ირაკლი სამყურაშვილმა, შსს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა მალხაზ ჩიკვილაძემ, ეკონომიკური საბჭოს მდივანმა რომან ჩხენკელმა, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა აკაკი ჩხენკელმა, გურიის გუბერნატორმა გიორგი ჩხაიძემ, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ზურაბ კოპაძემ და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსმა ირაკლი გვარამაძემ.

ამ ცვლილებებს დიდი წიოკი მოჰყვა. სარწმუნო წყაროები, ჩიტები, გვრიტები და არწივები ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომაზეც ალაპარაკდნენ. მათი ცნობით, ის ამ პოსტზე ქვეყნის მთავარმა ექიმმა დავით სერგეენკომ უნდა ჩაანაცვლოს. ეს ჭორები იმანაც გაამძაფრა, რომ რამდენიმე დღის მანძილზე მოქმედი პრემიერი არსად ჩანდა. ის მხოლოდ 9 დეკემბერს გამოჩნდა და საგანგებო ბრიფინგიც გამართა. საკადრო ცვლილებები ჩვეულებრივ ამბად მიიჩნია და დაგვპირდა რომ მეტი ცვლილება აღარ მოხდებოდა.

10 დეკემბრის საღამოს კი ერმა მორიგი საკადრო ცვლილების შესახებ შეიტყო. გავარდა ხმა, რომ თანამდებობა, ირმა ნადირაშვილის მორიგმა მუზამ შს მინისტრის მოადგილემ გიორგი ზედელაშვილმაც დატოვა. იმავე საღამოს შსს-მ ეს ინფორმაცია უარყო. გუშინ კი ეს ამბავი ირაკლი ღარიბაშვილმა დაადასტურა. მისივე ინფორმაციით, შს მინისტრის მოადგილეებად არჩილ თალაკვაძე და თემურ მღებრიშვილი დაინიშნენ. ამ უკანასკნელს ამ დრომდე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი იყო.

სახელმწიფო დაცვა მან ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ჩაიბარა. ამ თანამდებობაზე მან ანზორ ჩუბინიძე შეცვალა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გუშინ ეს თანამდებობა მან კიდევ ერთხელ დაიკავა. უსამსახუროდ არც შს მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ზედელაშვილი დარჩენილა.

— ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ კიდევ ერთი შიდა უწყებრივი გადაადგილება განვახორციელოთ, კერძოდ, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი ზედელაშვილი დაინიშნება უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილედ, ვახტანგ გომელაური იქნება შს მინისტრის პირველი მოადგილე, ასევე თეიმურაზ მღებრიშვილი, რომელიც იყო სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი დაინიშნება შს მინისტრის მოადგილედ. ასევე ჭიკაიძის მოადგილედ გადავა სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე. რაც შეეხება სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს, მისი უფროსის თანამდებობაზე ვაბრუნებთ ყოფილ ხელმძღვანელს ანზორ ჩუბინიძეს, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, ის მაქსიმალურად ცდილობს, რომ გააძლიეროს უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო.

— საჭირო იყო ამ საბჭოს გარკვეული რეფორმირება. ამ მიზნით ჩვენ დავნიშნეთ ახალ ხელმძღვანელად დავით სუჯაშვილი, მოადგილე, როგორც გითხარით, იქნება ზედელაშვილი. როგორც მე გუშინ გაცნობე საზოგადოებას, ვიწყებ შსს-ს რეფორმირებას, მის გარდაქმნას, უწყებიდან უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფას. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ეს ცვლილებები ინსტიტუტების განვითარებაში კიდევ უფრო დაგვეხმარება, — აღნიშნა პრემიერმა.

ვახტანგ გომელაურს შსს-ში აქამდე ჩვეულებრივი მოადგილის პოსტი ეკავა. ახლა ის პირველი მოადგილე იქნება. მინისტრის მოადგილის პოსტი მას ღარიბაშვილის მსტოვართუხუცესობის დროსაც ეკავა. როცა ის პრემიერად წავიდა, მინისტრად სწორედ მისი კანდიდატურა მოიაზრებოდა. მაგრამ მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე გახდა. მავანი მის შეცვლასაც ელოდა, მაგრამ ოცნება არ აუსრულდათ.

საკადრო ცვლილებებს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ეხმაურება და აცხადებს, რომ ცვლილებები უკეთესი მუშაობისთვის ხორციელდება.

— საკადრო ცვლილებებს რაც შეეხება, მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი არის განპირობებული იმით, რომ ჩვენ უკეთესად ვიმუშაოთ. მოკლედ რომ ვთქვა, ეს არის სწრაფვა უკეთესობისკენ, — განაცხადა კალაძემ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე საკადრო ცვლილებებს მნიშვნელოვანს უწოდებს. როგორც კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე დგას, ამიტომ საკადრო ცვლილებების განხორციელება ჩვეულებრივი და ამავე დროს აუცილებელი პროცესია.

— ადამიანების ცვლა არის ბუნებრივი პროცესი და თუ არის ამის საჭიროება, ეს უნდა გაკეთდეს. გადაადგილებები იქნება უფრო პოზიტივისკენ და უკეთესობისკენ, რადგან ძალიან მნიშვნელოვან გამოწვევებს უნდა ვუპასუხოთ და უნდა გავატაროთ რეფორმები ყველა სფეროში. ამისთვის, თუკი რომელიმე კონკრეტული ადამიანების ცვლილებაა საჭირო, რა თქმა უნდა, მთავრობამ ამაზე უარი არ უნდა თქვას. წინა ხელისუფლებას ეს ცვლილებები არ უნდა უკვირდეს, როცა მინისტრების დონეზე ხდებოდა ძალიან ხშირი ცვლილებები. მე ვერ გავიგე ვინ ყოფს ამ კადრებს. საერთოდ ბიძინა ივანიშვილის კადრები არიან ირაკლი ღარიბაშვილის კადრები. ღარიბაშვილი, ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პიროვნებაა. კადრებად დაყოფა მიმაჩნია, რომ არასწორია. ზედმეტი აჟიოტაჟია ატეხილი და აქედანაც სკანდალის გაკეთება უნდა ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, — განაცხადა მანანა კობახიძემ.



პრემიერის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი სესიაშვილი დადებითად აფასებს.

როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა ცვლილებები უწყებები მეტ შედეგს მოიტანს.

— ახალი სისხლი ახალი ენერგია უწყებებში მოიტანს უფრო მეტ შედეგს, მოტივაცია უფრო მაღალი იქნება, პასუხისმგებლობაც უფრო მეტია. როგორც ხედავთ პრემიერი ძალიან სიღრმისეულად აანალიზებს ზოგადად საკადრო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებს და ამიტომ მე ამას მივიჩნევ როგორც გადადგუმლ ნაბიჯს უფრო ეფექტური საქმიანობისთვის, — განაცხდა ირაკლი სესიაშვილმა

### „გადადიოდა კლანიდან კლანში"

მეოცნებეებისგან განსხვავებულად უყურებენ ამ საკადრო ცვლილებებს ოპოზიციაში. ყველა მათგანი ამ ცვლილებების უკან ბიძინა ივანიშვილის მძლავრ ხელს ხედავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებში, ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის ხელს ხედავს, საპარლამენტო უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძეც. დეპუტატის განცხადებით დარღვევებში ბრალდებული ჩინოვნიკების თანამდებობიდან მხოლოდ მოხსნა მიუღებელია, რადგან მათ ქმედებებში გარკვეული დანაშაულობები იკვეთება.

— ამ ყველაფერს უხილავი ხელი ახორციელებს შუშის სასახლიდან, სოლოლაკიდან, და რაც შეეხება თანამდებობიდან წასულ ადამიანებს, მათთან ჩვენ გვქონდა კონკრეტული პრეტენზიები, რომელიც უკავშირდებოდა გარკვეულ კორუფციულ გარიგებებს და გარკვეულ თანხებთან იყო ეს დაკავშირებული და ასეულ მილიონ ლარზეა საუბარი, ვიღაცები ასე უბრალოდ გააცილონ, მოხსნან და აეროპორტში ვარსკვლავი გაუხსნან, ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი. ამ ადამიანებმა პასუხი უნდა აგონ და ნათელი უნდა გახდეს, თუ რისთვის ხდება ეს ყველაფერი. კახელებთან კი არ გვაქვს ზოგადად პრობლემა, ან რომელიმე რაიონის და გვარის წარმომადგენლთან. აქ საუბარი იყო კლანურ მმართველობასთან. რაც შეეხება ვის ვისით ანაცვლებს, ეს კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. მალე შეიძლება ბერა დაბრუნდეს საქართველოში ან კალაძის კლანს რამე ეშველოს. უკვე „გადადიოდა კლანიდან კლანში" პროცესს ვუყურებთ, რომელსაც მართავს ბრძენი ადამიანი სოლოლაკიდან, — ამბობს ხაჩიძე.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში და „ქართულ ოცნებაში" განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს, „ახალი მემარჯვენეების" ლიდერი მანანა ნაჭყებია ეხმაურება. როგორც „პირველ რადიოსთან" საუბარში არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა განაცხადა ეს გადაადგილებები ირაკლი ღარიბაშილის ე.წ „კახური კლანის" დაშლის მცდელობას ემსახურება.

მანანა ნაჭყებიას თქმით, ერთმნიშვნელოვნად ცხადია ისიც, რომ ამ ყველაფერმა ირაკლი ღარიბაშვილი შეასუსტა

— არა მხოლოდ დღევანდელ, არამედ მთლიანად ბოლო დღეებში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით ანალიზს თუ გავაკეთებთ, აშკარად დავინახავთ, რომ მთლიანობაში ეს არ ემსახურება რომელიმე კონკრეტულ სფეროში საკადრო პოლიტიკის გაჯანსაღებას, ჩვენ ვხედავთ, რომ არის აქ საკადრო ცვლილებები ერთმანეთთან დაუკავშირებელ სფეროებში, როგორიც არის ვთქვათ შს სამინისტრო და საგადასახადო და ა.შ. აქედან გამომდინარე დასკვნა ერთია ცხადია — ეს ყველაფერი უკავშირდება რაღცა კლანის არსებობას, უკავშირდება ვიღაცის მიმართ გაჩენილ ეჭვებს, რომ ეს ადამიანები არიან ერთმანეთთან კავშირში, მათ აკავშირებთ ვიღაც და ეს ადამიანები ცდილობენ გავლენის მოხდენას ბიზნესზე, კორუფციული სქემების დალაგებას და ა.შ. ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ ამ გადაწყვეტილების მიმღები ამ ქვეყანაში იყო ერთადერთი ადამიანი ბიძინა ივანიშვილი, ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ ეს გადაადგილებები ემსახურება ირაკლი ღარიბაშილის ე.წ. „კახური კლანის" დაშლის მცდელობას და ერთმნიშვნელოვნად ცხადია ისიც, რომ ამ ყველაფერმა შეასუსტა ირაკლი ღარიბაშვილი, აქ სხვა დასკვნის გაკეთება უბრალოდ წარმოუდგენელია, — განაცხადა მანანა ნაჭყებიამ „პირველ რადიოსთან" საუბარში

გიორგი ზედელაშვილის გადადგომას ლეიბორისტთა ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავაც ეხმაურება. ის პრემიერის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზედელაშვილით მას უსაფრთხოების საბჭოს გაძლიერება უნდა, ბლეფს უწოდებს და ამბობს, რომ ეს არის დაპირისპირება კლანებს შორის და მომხდარი საკადრო გადაადგილებებით ბიძინა ივანიშვილმა „ფრთები მოუკეცა" ე.წ. კახურ კლანს, რომელსაც გუგავას თქმითვე, საკმაოდ „დიდი მადა" აღმოაჩნდა:

— ეს განცხადება ბლეფია და მცდელობაა იმისა, რომ შეფუთოს ის დაპირისპირება რაც კლანებს შორის მოხდა, ეს არის იმ პროცესის გაგრძელება, რაც ამ დღეებში, ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, როდესაც ივანიშვილი ფრთებს უკეცავს ღარიბაშვილ-თამაზაშვილის კახურ კლანს, რომელსაც დიდი მადა აღმოაჩნდა და როგორც ჩანს, ამ ორი კლანის ფინანსური ინტერესები გადაიკვეთა. ამან გამოიწვია დაპირისპირება და დაიწყო გასუფთავება ივანიშვილმა ღარიბაშვილის ხალხისაგან, რათა ერთპიროვნულად მაფიოზური სინდიკატით -„კოზანოსტრას" ლიდერებს სჩვევიათ, თვითონ გახდეს ერთპიროვნულად არა მხოლოდ პროცესების მმართველი, არამედ იმ ქონების მიმთვისებელი, რომელიც ეკუთვნის ხალხს და ის იქცევა ამ შემთხვევაში როგორც მაფიოზური კლანის ხელმძღვანელი „დონ ბიძინა ჭორვილსკი" და ანგარიშს უსწორებს იმ კლანის, კახური დაჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებსაც როგორც ჩანს, ხელი წაუცდათ ლომის წილზე... (ზედელაშვილის გადადგომა) ნათესაური კლანის დასუსტებაა. რეალურად ზედელაშვილი წარმართავდა შსს-ში პროცესებს, ჭიკაიძე მანდ ფორმალური ფიგურაა და საკმაოდ დიდი დასაყრდენი ღარიბაშვილს და თამაზაშვილს გამოაცალეს და არ გაუშვეს, ფორმალური თანამდებობა მისცეს კრიზისების საბჭოში, რომელსაც რეალური კონსტიტუციური საკანონმდებლო ფუნქცია არ გააჩნია. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არის დაპირისპირების ასახვა კლანებს შორის ნადავლის გაყოფაზე.

„თავისუფალი დემოკრატების" წევრი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე მიიჩნევს, მხოლოდ საკადრო ცვლილებები არ უშველის სისტემას, სისტემურად არ შეიცვალა ერთი კულისებს მიღმა პიროვნების მიერ ქვეყნის მართვა.

— არანაირი საკადრო ცვლილება სისტემას ვერ უშველის, თუკი სისტემურად არ შეიცვალა ერთი კულისებს მიღმა პიროვნების მიერ ქვეყნის მართვა არანაირი გადაადგილება არ უშველის ამ საქმეს, — განაცხადა დოლიძემ.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მთავრობაში ცვლილებები ისევ გაგრძელდება. მოსახსნელთა სიაში დავით შავლიაშვილი და ირაკლი შიხიაშვილი მოიაზრებიან.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ ცვლილებების შედეგად თანამდებობებზე ბიძინა ივანიშვილის კადრები დაინიშნენ. ნაციონალები ამბობენ, რომ ექს-პრემიერმა პრემიერს მეთვალყურეები მიუჩინა. ისე ნაციონალებს ალბათ არ ესიამოვნებათ იმის გაგება, რომ ღარიბაშვილი ივანიშვილის ნდობას ისევ იმსახურებს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სევდია უგრეხელიძე: ნარმანია ყურს არ იბერტყავს, რაში დაიხარჯა თბილისობაზე მილიონი ლარი?“

## მერიაში ძალიან ბევრი დარღვევაა

შორენა გონგლაძე

მთავრობა არაპროფესიონალია — ამის შესახებ განცხადება ნაციონალური მოძრაობის წევრმა სევდია უგრეხელიძემ „ივერიონის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. უგრეხელიძის განცხადებით, ანალოგიური პრობლემაა ყველა სტრუქტურაში, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა დედაქალაქის მერიაში, სადაც არაპროფესიონალიზმს კორუფციაც ემატება. უგრეხელიძე ურჩევს მერიის ახალ ხელმძღვანელობას, გამონახოს საერთო ენა თანამშრომლებთან და ხალხს მოუსმინოს ყურადღებით, თორემ სხვანაირად ქალაქი დაინგრევა. მისივე თქმით, არსებული მართვის სტილით, არავინ იცის, ხვალ რა მოელის.

— არაფერს ვამბობ წინა პრემიერზე, ის თუ ჭკვიანი არ არის, აბა, ამდენი მილიონი როგორ იშოვა? მაგრამ ღარიბაშვილი არაპროფესიონალია. მინისტრებს შორის ზოგიერთი აკეთებს თავის საქმეს, შეიძლება, ბევრს არ მოსწონდეს, ბევრს მოსწონდეს მაია ფანჯიკიძე, მაგრამ ეს სხვა თემაა და, უნდა ითქვას, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობა არ შეჩერებულა. ეს პრობლემები იქიდან მოდის, რომ მათ არა აქვთ უფლება და ეს მთავრობა საერთოდ გადაწყვეტილების მიღების უუნაროა. — აცხადებს სევდია უგრეხელიძე. მისივე თქმით, მერიაში ძალიან ბევრი დარღვევაა.

— დედაქალაქის ახალ მთავრობაში არის ერთი მთავარი პრობლემა. ეს არის არაპროფესიონალიზმი. ამასთან ერთად, ბოლო დროს გამოიკვეთა კორუფციული მიდრეკილებები. ამაზე ჩვენ გავაკეთეთ განცხადება, ვინაიდან, როდესაც შემოსული ბიუჯეტი განვიხილეთ, აღმოვაჩინეთ ისეთი შავი ხვრელები, რომლებმაც ეს ეჭვები გაგვიჩინა და მივმართეთ შესაბამის ორგანოებს. ამის ნიმუში იყო, მაგალითად, სამგორის რაიონში არსებული ქუჩები, რომლებიც იყო წარმოდგენილი გეგმაში, ასფალტის საფარის დაგება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქ იყო საკმაოდ ახალი დაგებული გზა, ამაზე კი იყო ასეთი პასუხი, რომ ეს იყო მექანიკური შეცდომა. ასევე დიდი პრობლემაა ტენდერები. როგორც ვიცით, მათ შეცვალეს ტენდერის ჩატარების წესები. მათ ერთბაშად 31 ტენდერი გააუქმეს, თქვეს, რომ აქ იყო სამართლებრივი პრობლემები და გამოაცხადეს ხელახლა, თუმცა შემდეგ არავის უთქვამს, რომ იქ რაიმე სამართლებრივ დარღვევებს ჰქონდა ადგილი. მათი გადაწყვეტილებების შედეგი კი ასეთი დადგა, რომ ტენდერები ერთმანეთის მიყოლებით იშლებოდა ანუ მათ მიერ წამოყენებულ პირობებზე არ შედიოდნენ შესაბამისი კომპანიები. მათ შეცვალეს პირობები ისე, რომ გაზარდეს ავანსის ოდენობა. ჩვენ დაწესებული გქონდა 60%, თუმცა ამით არ ვსარგებლობდით და 35%-ზე მეტს არ ვაძლევდით, მათ ეს ზღვარი მოშალეს და დააწესეს 95%-იანი ავანსი. ასეთი პირობები არ აწყობთ კომპანიებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შესაბამისი საკრედიტო ვალდებულებები უნდა აიღონ, რაც მათთვის მიუღებელია. მათ ასევე შეცვალეს კონტროლისა და ჯარიმების მექანიზმი და კიდევ ბევრი ისეთი პირობა, რომლებიც მიუღებელი აღმოჩნდა კომპანიებისთვის. ახლა უკვე ცხადი ხდება, რომ ჩაშლილ ტენდერებზე გამარტივებული წესით იდება ხელშეკრულებები და, აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: რას ელოდებოდა ეს კომპანია, როდესაც ტენდერში არ შემოდიოდა — ამბობს უგრეხელიძე. მისივე თქმით, ტენდერების ჩაშლა თბილისის ბიუჯეტის ფლანგვაა.

— ვსვამ კითხვას, შესაძლებელია, რომ ერთ ბიუროზე შემოვიდეს 8 მილიონის ხარჯვა პირდაპირი შესყიდვით? რა თქმა უნდა, ეს არის ის, რომ ქალაქმა ეკონომიაზე თქვა უარი და რამდენი ხელშეკრულება დაიდო გამარტივებული პირობებით. ყველა მათგანი ნიშნავს, რომ თბილისის ბიუჯეტმა დაკარგა ფული, ეს დანაკარგი კი არის კორუფციული გარიგების შედეგი თუ სხვა რამ, ვფიქრობთ, ამით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს. გამარტივებული შესყიდვა ის თემაა, რომელიც უკვე გააქტიურებულია. ასე რომ, ეს თემა საბოლოოდ აუცილებლად გახდება სამართალდამცავი ორგანოების განსახილველი საკითხი. გარდა ამისა, ჩვენ შევისწავლეთ თბილისის ბიუჯეტის ხარჯვა, რომელიც იყო მილიონამდე თბილისობის დღესასწაულზე და, ვინაიდან ყველა ეს ღონისძიება ჩატარდა გამარტივებული შესყიდვით, ცხადია, იქ ძალიან საეჭვო გარიგებებს ჰქონდა ადგილი. რატომ უნდა ხდებოდეს ფორსმაჟორით გამარტივებული შესყიდვა თბილისობაზე? არ იცოდა ნარმანიამ, რომ თბილისობა ოქტომბერში უნდა ჩაატაროს? ეს ნამდვილად არ იყო ფორსმაჟორი. ამის შედეგად დაიხარჯა მილიონამდე ლარი და აღმოვაჩინეთ სასაცილო ამბები, მაგალითად, სამგორის გამგებელს ჰქონდა დადებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება დადებული თავისი მეუღლის კომპანიასთან, რომელიც დაარსდა რამდენიმე კვირით ადრე და პირდაპირ თბილისობაზე გამოავლინეს თავიანთი ნიჭი და უნარი. მონაწილეობდნენ მისი მეუღლის სამოდელო კომპანია და მისი მოდელები და მათ გადაუხადეს ფული. აქ საუბარია 16 ათასზე და, თუ ეს თანხა ვინმეს ეცოტავება, ჩვენი პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველებისთვის ეს არ არის პატარა თანხა. ასევე საეჭვო იყო სხვა ხელშეკრულებები, მაგალითად, საბურთალოზე ბაიკერთან იყო ხელშეკრულება დადებული. ეს ყველაფერი ჩვენ ვთქვით, თუმცა ამ საკითხებით არ დაინტერესებულან არც თბილისის მერია, არც სამართალდამცავი ორგანოები, სანამ სხვა მოძრაობები არ დაიწყო ხელისუფლებაში. მას შემდეგ, რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ჯანყარაშვილის მეთაურობით ერთ ღამეში დატოვეს თავიანთი თანამდებობები, მხოლოდ ამის შემდეგ დაინტერესდნენ ამ საკითხებით. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს პროცესებია ურთიერთკავშირში. კი ამბობს დედაქალაქის მერია, რომ მათ გააგზავნეს საბუთები, მაგრამ, ჩვენ ხომ ვიცით, რომ საქართველოში თავისით არავინ არაფერს წყვეტს და არ აკეთებს, თუ დირიჟორის ჯოხი არ აიქნია ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. — აცხადებს უგრეხელიძე.

უგრეხელიძის თქმით, ჩნდება ეჭვი, რომ ყველაფერს, რაც ბოლო პერიოდში ხდება, აქვს პოლიტიკური საფუძველი და მათი მითითების გამო ეს ნამდვილად არ მომხდარა. უგრეხელიძე ასევე ამახვილებს ყურადღებას კომპანიების მიერ პირობების შეუსრულებლობაზეც. რაც შეეხება მათი მმართველობის პერიოდში არსებულ დარღვევებს, მისი თქმით, რაიმე სერიოზულ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან არც ერთი პროკურატურაში გადაგზავნილი საქმე არ გააქტიურებულა.

— პრობლემა არის ისიც, რომ არ სრულდება დადებული ხელშეკრულებები. ჩვენი წევრები იმყოფებოდნენ ვანის ქუჩაზე. ეს ქუჩა არის დასაგები, არ არის იქ კომუნიკაციები გაყვანილი და ფორსმაჟორი გაკეთებულია. ერთი თვის წინ გადარიცხულია ფული და ამ დრომდე არ არის სამუშაოები შესრულებული. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს რიგ შემთხვევაში არაპროფესიონალიზმთან და რიგ შემთხვევაში კი — კორუფციულ გარიგებებთან. ამასთან დაკავშირებით ბატონი ნარმანია ყურს არ იბერტყავს. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენგან მათ მძიმე მემკვიდრეობა დარჩათ, ამაზე საუბარი ჩვენი მხრიდან არის არაამორალური, იმიტომ, რომ ქალაქში ძალიან ბევრი რამე გაკეთდა. დღეს ეს ქალაქი არის სულ სხვა, ვიდრე 2004 წელს. ჩვენი პრობლემა იყო შემდეგი: იმის გამო, რომ ძალიან სწრაფად გვიხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება, ხშირად არ იყო კომუნიკაცია საზოგადოებასთან, რაც არის დემოკრატიული წყობის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშანი. საზოგადოებამ უნდა მიიღოს შენ მიერ შეთავაზებული პროექტი. ჩვენი პრობლემა სწორედ ამაში მდგომარეობდა, რომ ის, რასაც აკეთებდა ქალაქის ხელისუფლება, არ იყო ხალხამდე მიტანილი და გათავისებული ხალხის მიერ, როგორც მათი გადაწყვეტილება. ჩვენ ვერ ვასწრებდით შეთანხმებას საზოგადოებასთან, ამიტომ საზოგადოებამ ბევრი რამ არ მიიღო და არ გაითავისა. — აცხადებს უგრეხელიძე და ე.წ. კარვების პრობლემაზეც საუბრობს.

— რაც შეეხება კარვებს, ამ კარვებზე ძალიან დიდი თანხები იხარჯება. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ეს კარვები უნდა ჩანაცვლდეს სოციალური საცხოვრისით. ჩვენ ამისათვის გვქონდა შენობა, მაგრამ ეს შენობა ვიღაცას მისცეს ერთ ლარად და მე, პირადად, ეჭვი მეპარება, რომ ავტობუსების ქარხანას ის ააშენებს. პრობლემაა ის, რომ იქ ადამიანი მუდმივად ვერ იცხოვრებს. ის არის დროებითი საცხოვრებელი, რომელსაც ექნება ძალიან მკაცრი წესები, ვერ იცხოვრებენ ოჯახებით ანუ სულ სხვა ტიპის საცხოვრისია. ის არის ღამის გასათევი. დღეს კარავში მცხოვრები ადამიანების იქ შეყვანა ვერაფრით ვერ მოხერხდება. კარვები იყო დროებითი საშუალება. ეს კარვები ზაფხულში უნდა ალაგებულიყო და გასუფთავებულიყო იქაურობა, რადგან იქ ისეთი ანტისანიტარიაა, გაუსაძლისია იქ ყოფნა. ამ წუთას კარვების შენახვაზე იხარჯება მილიონი, მაგრამ მაინც გაუსაძლისი პირობებია. მე ყოველთვის მინდოდა, ასეთი გაჭირვებული ადამიანები შეგვესახლებინა იმ შენობებში, რომლებიც არის მერიის ბალანსზე. არის ძალიან ბევრი ფართი, სადაც თავისუფლად შეიძლება გაჭირვებული, უსახლკარო ოჯახების შესახლება. — აცხადებს უგრეხელიძე.



# ვახტანგ ძაბირაძე: ჩვენთან არც ავტორიტარიზმია და არც — დემოკრატია

თამარ ნინიძე

ქვეყანაში დაგროვილ პრობლემებსა და სამთავრობო ცვლილებებზე „ახალ თაობას“ პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე ესაუბრა.

***— მთავრობაში ცვლილებები განხორციელდა. პრემიერმა ღარიბაშვილმა ამასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა. როგორია თქვენი აზრი ამ ცვლილებებზე?***

— სამთავრობო ცვლილებები მეორე დონეზე განხორციელდა, რადგან საკმაოდ ცუდი განწყობა იყო მოსახლეობაში, ამას დაეთხვა ლარის კურსის მერყეობა. ყველაზე მნიშვნელოვანი არის განცხადება იმაზე, რომ უნდა გაიყოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. შსს და უშიშროება ცალკე უწყებებად უნდა ჩამოყალიბდნენ. როგორ მოხდება ეს, ცნობილი არ არის, მექანიკური გაყოფა შედეგს არ მოიტანს. გააზრებულად უნდა გამოიყოს კომპეტენციები და საქმიანობა.

***— კლანურ მმართველობებზე ბევრი საუბარი იყო შევარდნაძის, სააკაშვილის დროს. ამბობენ, რომ ღარიბაშვილისა და კალაძის კლანებს შორის დაპირისპირებაში კალაძის კლანმა გაიმარჯვა. როგორ ფიქრობთ, ისევ კლანების მმართველობა მივიღეთ?***

— ვერ გეტყვით, რომ დღეს კლანური მმართველობაა გნებავთ ერთი ან მეორეს მხრიდან, ლობირებას შეიძლება ორივე უწევს საკუთარ გუნდს, მაგრამ მმართველობის კლანური სისტემა ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ არის. „ქართულმა ოცნებამ“ რამდენიმე თვის წინ დაასრულა ხელისუფლების გადმობარების პროცესი, ამიტომ ზედმეტი აჟიოტაჟია. ზოგადად უკმაყოფილება საზოგადოებაში არის, ხელისუფლება ვერ მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს, მაგრამ ეს კლანების ბრალი კი არ არის, არამედ იმისა, რომ ახალმა ხელისუფლებამ უარი თქვა ავტორიტარიზმზე, და უარი თქვა დემოკრატიაზეც. მივიღეთ რაღაც სხვა რამ და შედეგებიც შესაბამისია.

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიზნესმენებმა დაიჩივლეს ივანიშვილთან, რომ თამაზაშვილი და მისი სახლობლო ავიწროებს ბიზნესმენებს. თუ გსმენიათ რაიმე ამის შესახებ?***

— შეუძლებელია, ასეთი რამ ხდებოდეს ჩვენნაირ ქვეყანაში და ეს რჩებოდეს შეუმჩნეველი ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც ამ პროცესებში არ მონაწილეობენ. რეალურად ხდებოდა ბიზნესზე ზეწოლა, როგორც კი ეს დაიწყო 2004 წელს, გადაფორმებები ხდებოდა ბიზნესების, საგადასახადო სისტემა სხვაგვარად ეწყობოდა. ამას იგრძნობ, შუბი ხალათში რომ დაიმალება. შეიძლება ბიზნესმენების ნაწილი რაღაცით უკმაყოფილოა, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ბიზნესზე ზეწოლით იყოს გამოწვეული. უფრო მეტს გეტყვით — ბიზნესი მართლა განთავისუფლდა კონტროლისგან, მაგრამ აქედან ხეირი ზოგადად საზოგადოებამ ვერ ნახა იმიტომ, რომ პრობლემა დარჩა — არა ბიზნესის კონტროლის, არამედ იმის, რომ ბიზნესი ვერ ფუნქციონირებს, როგორც უნდა ფუნქციონირებდეს. უამრავი კომპონენტის გამო, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული.

***— ნეპოტიზმის შესახებ მინდა გკითხოთ მთავრობაში. ნაციონალების დროს ეს იყო ხელისუფლებაში, მაგრამ ახლა უფრო თვალსაჩინო გახდა და გამომწვევი ფორმა მიიღო. როგორ უნდა აღმოიფხვრას ეს პრობლემა?***

— ასე არ არის, დღეს უფრო მეტს საუბრობენ ამაზე, ვიდრე წინა ხელისუფლების პირობებში საუბრობდნენ. დღეს მედია გაცილებით უფრო თავისუფალია, ვიდრე სააკაშვილის დროს იყო. თქმა იმისა, რომ ახლა მძვინვარებს ნეპოტიზმი, არასწორია, რადგან მაშინაც იყო ეს პრობლემა და დღესაც არის. საჭიროა კომპლექსური მიდგომა ყველა იმ პრობლემისადმი, რომელიც ქვეყანაშია. მხოლოდ საუბრებით ეს ვერ მოგვარდება. საზოგადოებაც და ხელისუფლებაც უნდა ჩამოყალიბდნენ, როგორი ქვეყანა გვინდა. რეალური რეფორმები უნდა განხორციელდეს. სტრუქტურული დემოკრატიის ჩამოყალიბება უნდა დავიწყოთ.

***— მოსმენებმა დიდი ხმაური გამოიწვია, თუმცა დღემდე აუხსნელია, რატომ გავიდა მოსმენების ის ვარიანტი, რომელსაც მთავრობა ემხრობოდა. თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები და ნაციონალები მხარს არ უჭერდნენ ამ ვარიანტს და ამაზე ბევრი დაიწერა და ითქვა. რატომ არ მოხდა ხმების მობილიზება?***

— ამათი ხმებით ეს პროექტი ვერ ჩავარდებოდა, 84 ხმა ჰქონდა ხელისუფლებას. რატომ მიემხრო მთავრობა ამ პროექტს, სხვა საკითხია და უკავშირდება სწორედ იმას, რაზეც გესაუბრეთ, ხელისუფლება ვერ ჩამოყალიბდა, მართვის როგორი სტილი აირჩიოს, უკონტროლო მოსმენების საშუალება უნდა ჰქონდეს თუ არა. ამიტომ გაიტანა ის პროექტი, რომელიც ამის საშუალებას აძლევს.

***— ბიძინა ივანიშვილმა საზმაუწყებელს ვრცელი ინტერვიუ მისცა, ისაუბრა არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე, პირობითი სახელწოდებით „2030“. რას ფიქრობთ ამაზე და აქვე გკითხავთ, რა პრეტენზიები აქვს ივანიშვილს ექსპერტებთან და მედიასთან?***

— იყო საუბარი, რომ ეს ორგანიზაცია მოამზადებს ახალი ექსპერტების ჯგუფს, ამაში ცუდი არაფერია, ინტელექტუალურ ძალას თუ მოამზადებენ, რომელიც ქართულ პოლიტიკას გაანალიზებს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ საქმე არ ეხება ექსპერტების პროფესიონალიზმს. შეიძლება ვინმე მოგწონდეს ან არა, საზოგადოებაზე ექსპერტებს მაგიური ზეგავლენა არა აქვთ, როგორც ეს ბატონ ივანიშვილს ჰგონია. შეიძლება რაღაც პროცესებს ხელს ვუწყობდეთ ან ვამუხრუჭებდეთ, მაგრამ ძირითადად მაინც ხელისუფლებაშია პრობლემა. როცა ხელისუფლება კარგად არ მუშაობს, მაშინ საზოგადოების განწყობა ამ ხელისუფლებისადმი ბუნებრივად იცვლება. თუ ამას დაემატება ის ანალიზი, რასაც ექსპერტები აკეთებენ, ეს განწყობა უფრო ძლიერდება, მაგრამ ახალი ექსპერტების გუნდი ამას სხვაგვარად შეაფასებს თუ არა, ეს არ ვიცი. შეიძლება დავეთანხმო ბატონ ივანიშვილს იმაში, რომ არის მედია საშუალებები, რომლებიც არ მომწონს, მაგრამ ამის საპირწონედ ხელისუფლებას აქვს საზოგადოებრივი მაუწყებელი. არსებობს სხვა მედია საშუალებები. ხელისუფლება უნდა იყოს უფრო აქტიური. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ყველა ჟურნალისტი მოსყიდულია, მაშინ ძალიან ცუდად არის საქმე და ამ ხელისუფლებას ფინანსური რესურსები გააჩნია, რომ გააკეთოს ტელევიზია. „2030“ კარგია, თუ ის იმუშავებს სტრატეგიულ განვითარებაზე. მაგრამ აქამდე დიდი დროა და მანამდე გვჭირდება უფრო ქმედითი რეალური პროგრამის შემუშავება, რომ ქვეყანა ამ უბედურებიდან გამოვიყვანოთ. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა და არა — „2030“. არავინ ითხოვს დღევანდელი ხელისუფლებისგან, რომ ევროპული ცხოვრების დონე დღეს ან ხვალ იყოს, მაგრამ გვაინტერესებს, რა კეთდება ეკონომიკის განვითარებისთვის. არ ვიცით, ჩამოყალიბებული დემოკრატიული სახელმწიფო ვართ თუ ნახევრად ჰიბრიდული რაღაც, შეიძლება ასეთ პოლიტიკურ გარემოში ეკონომიკა განვითარდეს? სამართლიანობა დამკვიდრდეს? აქ ვართ ჩამოსაყალიბებელი. ამას „2030“ არ სჭირდება. დღევანდელი რესურსით უნდა განვსაზღვროთ, რა გვინდა და რას ვაკეთებთ. დღეს ვერავინ იტყვის, რომ უსამართლობა მძვინვარებს მაგრამ ვერც იმას იტყვის ვინმე რომ ერთმნიშვნელოვნად სამართლიანობაა. მართლაც უპრეცედენტო ფული ჩავდეთ სოფლის მეურნეობაში, მოიტანა კი ამან ის შედეგები, რასაც ველოდით? ერთადერთი, რასაც ყველა ხედავს, არის სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული საკითხები. იქაც უმუშევრობის საკითხი ისევ მტკივნეულია და მოუგვარებელი.



# ჯორჯიან ეარვეიზი“ თბილისის აეროპორტის სრული პარალიზებით იმუქრება

ქართული ავიაციის ფლაგმანმა, კერძო ავიაკომპანია „აირზენამ“ შეაჩერა რეისები მოსკოვის მიმართულებით. ოფიციალური მიზეზია პერსონალის გაფიცვა. ეს პერსონალი კი, ისევ და ისევ ოფიციალური მონაცემებით, არა ხელფასების გაზრდას ან სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, არამედ



რუსული ავიაკომპანიების საქართველოდან გაძევებას ითხოვს, რადგან აეროფლოტის შემოსვლის შემდეგ, მგზავრთა ნაკადმა მნიშვნელოვნად იკლო: მთელი 50-60%-ით და უფრო მეტადაც კი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს გაფიცვა, მთლიანობაში, ძალიან უცნაური მოვლენაა ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, გაფიცვა მას შემდეგ დაიწყო, რაც აირზენამ, დიდი ომის შედეგად, მიაღწია შეთანხმებას საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან, რომ რუსული ავიაგიგანტები მხოლოდ პარიტეტის საფუძველზე იფრენენ თბილისი-მოსკოვისა და სხვა რუსული მიმართულებებით. ანუ, ქართულ ავიაკომპანიებს დაუმტკიცდათ ქვოტა 10 ფრენა კვირაში და რუსულსაც — ამავე ოდენობით. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ავიაცია წარმოდგენილია მხოლოდ კერძო ავიაკომპანია „აირზენათი“, რომელიც რამდენიმე გავლენიან ოჯახს ეკუთვნის, ეს შეთანხმება (მას რუსებმაც მოაწერეს ხელი) იმას ნიშნავდა, რომ „აირზენას“ უნდა შეესრულებინა 10 რეისი კვირაში, ხოლო ყველა რუსულ კომპანიას ერთად (“აეროფლოტი“, „სიბირი“, „ტრანსაერო“ და ა.შ) — აგრეთვე 10.

კომპანია „ჯორჯიან ეარვეიზი“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სრული პარალიზებით იმუქრება. როგორც ჟურნალისტებს კომპანიის გენერალურმა დირექტორმა, იასე ზაუტაშვილმა განუცხადა, თუ მათი მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული, ისინი აეროპორტის პარალიზებას მოახდენენ.

კომპანიის გაფიცული თანამშრომლების მოთხოვნებია: სასწრაფოდ გაუქმდეს რუსეთის ფედერაციაში გაგზავნილი 8 ივლისის ნოტა, რომლითაც რუსეთის ავიაკომპანიებს მიენიჭათ შეუზღუდავი უფლება თბილისი-მოსკოვი-თბილისის მიმართულებით ფრენებზე; რუსეთის ფედერაციასთან საჰაერო მიმოსვლა აღდგეს იმ პირობებით, რაც იყო ფრენების შეწყვეტამდე 2006 წლის ნოემბრამდე; რუსეთთან მოლაპარაკებები ჩატარდეს საქართველოში და განიხილონ მომავალი წლის ზაფხულის პერიოდის ფრენების განრიგი და რუსეთის სხვა ქალაქებში ფრენების შესაძლებლობა; დაუყოვნებლივ მიღებული იქნას გადაწყვეტილება ავიაციის სააგენტოს ეკონომიკის სამინისტროსგან გამოყოფის შესახებ და ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ უწყებად, როგორც ეს მიღებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რადგან ეკონომიკის სამინისტრო გახდა თავკომბალა და ის რეალურად ვერ ახდენს იმ პრობლემების მოგვარებას, რომელიც საავიაციო კომპანიებს აქვთ; სააგენტოდან გათავისუფლებული იქნეს წინა ხელისუფლების მიერ დანიშნული კადრები; სამოქალაქო ავიაციის სააგენტო დაკომპლექტდეს კვალიფიციური კადრებით; შეიცვალოს ის ნორმატიული აქტები, რაც მიღებული იქნა წინა ხელისუფლების მიერ და ეწინააღმდეგება ქართული ავიაკომპანიების ინტერესებს; სასწრაფოდ აღუდგეს ჯორჯიან ეარვეიზს“ ფლაგმანის სტატუსი, რომელიც უსაფუძვლოდ გააუქმა წინა ხელისუფლებამ.

როგორც ზაუტაშვილმა განაცხადა, აეროპორტი არის თურქული კომპანიის მფლობელობაში, საჰაერო ცა გადადის რუსული კომპანიების მფლობელობაში და რეალურად ქართულ საავიაციო კომპანიებს არავითარი ადგილი აღარ რჩებათ ქართულ საჰაერო სივრცეში.

„ჩვენ აღარანაირი ადგილი აღარ გვრჩება, აეროპორტი არის თურქულ მფლობელობაში, ცა გადადის რუსულ მფლობელობაში და ჩვენი ადგილი, ასე გამოდის, რომ რეალურად აღარ არის. შესასვლელ-გამოსასვლელებზეც კი პრობლემებს გვიქმნიან“, — განაცხადა ზაუტაშვილმა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან „ჯორჯიან ეარვეიზის“ თანამშრომლების საპროტესტო აქციას, ქართული ტურისტული კომპანიებიც შეუერთდნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ტურისტული კომპანია „ოლ ტურსის“ დამფუძნებელმა, მაია მჭედლიძემ განუცხადა, ისინი სოლიდარულები არიან იმ მოთხოვნების მიმართ, რაც „აირზენას“ აქვს.

მისივე თქმით, ქართული ტურისტული კომპანიები მძიმე მდგომარეობაში არიან, რადგან არ არსებობს რეგულაციები, რომლებიც უცხოურ ტურისტულ კომპანიებთან კონკურენციის გაწევის საშუალებას იძლევა.

— ჩვენ ჩარტერებს ვაკეთებთ „აირზენას“ მეშვეობით, ანუ ჩვენ ერთმანეთზე დამოკიდებულები ვართ. ჩვენ გვაქვს ჩვენი პრობლემები, რომლებიც გამოიხატება იმაში, რომ უცხოური ტურისტული კომპანიები ქართული ტურისტული კომპანიების ჩაყლაპვას ცდილობენ. ეგვიპტური და თურქული ავიაკომპანიები საქართველოში შემოდიან დემპინგური ფასებით, ისინი ძალიან დაბლა წევენ ფასებს და იძულებულს გვხდიან ჩვენც ასე მოვიქცეთ, რაც ჩვენი რესურსიდან გამომდინარე ქართულ ტურისტულ კომპანიებს ძალიან დიდი პრობლემას უქმნიან. მათი რესურსი კი, ძალიან დიდია და ამის საშუალება აქვთ. ისინი ცდილობენ მსგავსი მეთოდებით ჩაგვყლაპონ და ქართულ ტურისტულ ბაზარზე მხოლოდ ისინი დამკვიდრდნენ. აქედან გამომდინარე, მოვითხოვთ რეგულაციებს, რომ ყველა თანაბარ პირობებში ვიმყოფებოდეთ და პირველ რიგში უპირატესობა მიენიჭოთ ქართულ კომპანიებს. ეს მოთხოვნები, რა თქმა უნდა, მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, — განაცხადა მჭედლიძემ.

# ვალერი გელბახიანი: ლარის კურსის ვარდნა მაქინაცია იყო“

## „ვადამდელ არჩევნებამდე მივალთ“

მარიკა მჭედლიშვილი

პარლამენტის ყოფილი წევრი, ვალერი გელბახიანი, დარწმუნებულია, რომ ლარის კურსის ელვისებური დაცემა და შემდგომი გამყარება ხელოვნურად მოხდა. რა განხორციელდა სინამდვილეში? როგორი თვალით უყურებენ დასავლეთში „ქართულ ოცნებას“? დაშლილია თუ არა მმართველი კოალიცია? იქნება თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? „ახალი თაობა“ ვალერი გელბახიანს ამ და სხვა თემებზე ესაუბრა.

***— ხალხი ჯერ კიდევ ვერ გამოსულა შოკიდან, რომელიც დეკემბრის პირველი რიცხვებიდან მოყოლებული მიიღო ლარის კურსის ვარდნის გამო. საზოგადოებამ მკაფიოდ ვერ გაიგო მიზეზი, რის გამოც ეს მოხდა. თქვენ ვის პასუხისმგებლობას ხედავთ ამ პროცესებში?***

— რაც ლართან დაკავშირებით მოხდა, მაქინაცია იყო. ეს მოაწყვეს იმისათვის, რომ საბიუჯეტო დეფიციტის რეგულაცია მომხდარიყო — ხელოვნურად დაიწია ლარის კურსმა და ხელოვნურად აიწია. არ შეიძლება, ერთ დღეში ათი ერთეულით ხდებოდეს ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა მაშინ, როცა ეკონომიკა, ფაქტობრივად, არა გვაქვს, თითქმის არ გაგვაჩნია წარმოება და ექსპორტი. ასეთ დროს ასეთი რამ არ ხდება. ჩემი აზრით, ეს დასჭირდათ იმისათვის, რომ ბიუჯეტში იყო დარღვევები და ეს უნდა გადაეფარათ. ხალხის ჯიბიდან იყო ამოსაღები ფული და ეს გაკეთდა.

***— ხალხის დაზარალება გრძელდება. ფასები ზოგიერთ პროდუქციაზე ისევ მომატებულია. ასეთი პროცესების შემდეგ ფასები ხშირად ვერ უბრუნდება ძველ ნიშნულს...***

— ცხადია. ეს იყო ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის ერთობლივი მაქინაცია.

***— შეიძლება, ეს მაქინაცია გამოვიდა, მაგრამ საბოლოოდ რა მიიღო ხელისუფლებამ? ხალხის უკმაყოფილება და ხელისუფლების მიმართ ნდობის შემცირება?***

— თუ ხალხი სიმართლეს გაიგებს, მით უმეტეს შეუმცირდება ნდობა ამ ხელისუფლების მიმართ. ახლა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების პროცესი მიდის. ვიღაცამ შეიძლება შეკითხვები დასვას. ვიღაცა მოიკითხავს, რაზე იყო ბიუჯეტის შემოსავლები გათვლილი, რა დაკარგეს ლარის აწევით და რა მიიღეს კურსის დაწევით.

***— არსებობს მოსაზრება, რომ „ქართული ოცნების“ ავტორიტეტი დასავლურ სტრუქტურებშიც შეირყა. ამასთან, საუბარია იმაზე, რომ ნაცმოძრაობის მიმართ ნდობა გაიზარდა...***

— ბუნებრივია, ამ ხელისუფლების ნაბიჯები მოქმედებს მის რეიტინგზე, მაგრამ, არა მგონია, ნაციონალების მიმართ ასე იყოს.

***— უკრაინაში ნაცმოძრაობის წევრების დანიშვნები რისი მანიშნებელია?***

— ეს ამერიკული პოლიტიკის ნაწილია. ამ პოლიტიკის ფორმა ასეთია — ის, რაც ჩვენთანაა უარყოფილი, რეფორმატორებადაა აღიარებული სხვაგან. ესაა ამერიკელების გზავნილი მსოფლიოსათვის ჩვენს შიდა საკადრო საკითხებთან და საერთოდ პოლიტიკურ პროცესთან დაკავშირებით. ისინი ავრცელებენ აზრს, რომ საქართველოს წინა ხელისუფლება წარმატებული გუნდი იყო, რომელიც ქვეყანას აშენებდა. ესაა ამისი სრული გამოსახულება.



***— ანუ ნაცმოძრაობას უკეთესი თვალით კი არ უყურებენ, არამედ მის მიმართ ძველი დამოკიდებულებაა შენარჩუნებული?***

— რა თქმა უნდა. ამერიკელებს თავისი პროექტის ჩავარდნა არანაირად არ აწყობთ. ნაცმოძრაობის მმართველობა მათი პროექტი, მათი იდეოლოგიის გამოხატულება იყო. ამის ჩავარდნა არ უნდათ. როცა ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო ნაბიჯების გადადგმა ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების პასუხისგებასთან დაკავშირებით, ესეც არ შედიოდა (და არ შედის) ამერიკელების ინტერესებში. ამიტომ ინერგება აზრი, რომ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება არ ვარგა, სააკაშვილის ხელისუფლება კი კარგი იყო.

***— „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანიაც დადებით პერსონად მოიაზრება მათ თვალში?***

— მათთვის კარგია ყველა, ვინც ხელისუფლებას განუდგება. ესაა ამერიკელების პოლიტიკა.

***— ხელისუფლებას ანუ საპარლამენტო უმრავლესობას ჯერჯერობით ალასანიას პარტია (ფრაქცია) განუდგა. ეს პროცესი გაგრძელდება?***

— საპარლამენტო უმრავლესობა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. არის თემატური და არა — პოლიტიკური უმრავლესობა. ჩემი პროგნოზით, ჩატარდება ვადამდელი არჩევნები. გაზაფხულის მოვლენებს უკვე ვეღარ გადასცდება პარლამენტი და გაიმართება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები.

***— საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება თუ მოესწრება იმ დროისათვის?***

— გარწმუნებთ, არც ერთი პოლიტიკური პარტია არ დათანხმდება არჩევნებში მონაწილეობას, თუ არ მოხდა სერიოზული რეფორმა დემოკრატიული საარჩევნო ვითარების შესაქმნელად. ამ ცვლილებების დამტკიცება უნდა მოესწროს. სხვაგვარად პროცესი ვერ წარიმართება. სხვათა შორის, ამერიკელების შემოთავაზებაა, რომ არჩევნები ქვეყანაში მთლიანად პროპორციული იყოს. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება საერთო თემაა ყველა პოლიტიკური ძალისათვის.

***— „ქართული ოცნების“ რეიტინგი იკლებს. ნაცმოძრაობის ავტორიტეტი საქართველოში ცნობილია. შეძლებენ თუ არა სხვა ძალები ამომრჩევლის დაინტერესებას?***

— ამ მხრივ უიმედო მდგომარეობა არ არის. არჩევნების სტარტს დაახლოებით თვე-ნახევარი სჭირდება. პარტიები მაინც მიიღებენ იმდენს, რაც მათ რესურსებს შეესაბამება. ძლიერი პარტია ძლიერად დარჩება, სამთავრობო — სამთავრობოდ. ხმები აუცილებლად გადანაწილდება. ერთპარტიულობა არ იქნება. ერთი პარტია ვეღარასოდეს გააკეთებს საქართველოში ერთპარტიულ უმრავლესობას. მოსალოდნელია კოალიციების ჩამოყალიბება.

*სამართალი*

# მესაზღვრეებმა ნარკოტიკების შემოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ვალერი ბ. ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 0,1237 გრ ნარკოტიკული ნივთიერება მორფინის ჰიდროქლორიდი, 0,1 გრ „ტრამადოლი“ და 0,008 გრ ბუპრენორფინი ამოიღეს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

# შსს-სა და უშიშროების სამსახურის გამიჯვნაზე მუშაობა უკვე დაიწყო

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭომ, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის გამიჯვნაზე მუშაობა უკვე დაიწყო.

შსს-ს რეფორმირებისა და რეორგანიზაციის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანს დავით სუჯაშვილს სამუშაო ჯგუფის შექმნა დაავალა.

ჯერჯერობით უცნობია სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა.

როგორც დავით სუჯაშვილმა განაცხადა, მან თავის უწყებაში საგანგებო თათბირი უკვე ჩაატარა, მაგრამ ჯერ-ჯერობით უცნობია როგორ გადანაწილდება ფუნქციები ორ უწყებას შორის.

პრემიერის ინიციატივით, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში მთავრობის, პარლამენტის, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, უცხოელი და ქართველი ექსპერტები შევლენ.

ნიუსპრესი

# მარჯანიშვილზე მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს, ძველი თბილისისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1959 წელს დაბადებული ნოდარ ნ. მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე, შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღმაშენებლის გამზირის 8924-ში, „ქალაქ პროექტი“-ს შენობაში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ნოდარ ნ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა 1980 წელს დაბადებული ალექსანდრე გ.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, ადგილზევე დააკავეს. მკვლელობის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი




# ოლეგ მელნიკოვი პატიმრობიდან გათავისუფლდა

კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი პატიმრობიდან გათავისუფლდა. კუდი-ს ყოფილმა მაღალჩინოსანმა ე. წ. მატროსოვის ციხე 6 დეკემბერს დატოვა.

როგორც მელნიკოვის ადვოკატი ვარლამ ბალხამიშვილი აცხადებს, ქალაქიდან გაუსვლელობა, ან რაიმე აკრძალვა მას არ აქვს.

კუდ-ის ყოფელ თანამშრომელს ბრალი ორი სისხლის სამართლის საქმეზე ჰქონდა წარდგენილი — სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე, ასევე 2005 წელს ე.წ. მოდულის შენობაში სამი პოლიციელის ცემის საქმეზე. ორივე ბრალდება მელნიკოვმა აღიარა, რის სანაცვლოდაც მას პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გაუფორმა.

შსს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი, რომელზეც ქართულ მხარეს ძებნა ჰქონდა გამოცხადებული, 2012 წლის 7 დეკემბერს, უკრაინელმა სამართალდამცველებმა კიევში დააკავეს. ამ დროისთვის მას საქართველოში წინასწარი პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული. მისი ექსტრადირება საქართველოში 21 სექტემბერს მოხდა. მელნიკოვი თავდაპირველად წარდგენილ ბრალდებებს არ აღიარებდა, შემდეგ კი განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ სცნობდა. მან ჩვენებები მისცა სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებში ყოფილი თანამდებობის პირების წინააღმდეგ.

მედიანიუსი

2014, 12 დეკემბერი, №294

# შსს-ში წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის წარმომადგენლების ვიზიტი შედგა

შინაგან საქმეთა სამინისტროში, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის წარმომადგენლების შემაჯამებელი ვიზიტი გაიმართა.

შეხვედრას შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, მინისტრის მოადგილე ლევან იზორია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე და საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი დაესწრნენ.

შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, წინა გეგმიური ვიზიტი 2010 წელს შედგა, ხოლო არაგეგმიური – 2012 წელს, რაც სასჯელაღსრულების სისტემაში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა და მხოლოდ ციხეებს მოიცავდა. 2010 წელს ვიზიტის შემდგომი რეკომენდაციები პოლიციის მიმართდროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურას, დაკავებულთა უფლებრივ მდგომარეობასა და პოლიციის წინააღმდეგ საჩივრებზე რეაგირების სისტემის გაუმჯობესებას ეხებოდა.

შემაჯამებელი შეხვედრის ფარგლებში, ექსპერტებმა, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, ქართულ მხარეს მათი 11-დღიანი ოფიციალური ვიზიტის დროს წარმოებული დაკვირვებების შედეგები და რეკომენდაციები გააცნეს.

მედიანიუსი

სამართალი

# შსს-მ ნარკორეალიზატორი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის 1-ლი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ჯიმშერ კ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ბრალდებით თბილისში დააკავეს.

შსს-ს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა „სუბუტექსი“-ს აბები და ფხვნილი, რომელსაც პერიოდულად ყიდდა.

გამოძიებამ ასევე, დაადგინა, რომ ჯიმშერ კ.-მ საკუთარი საცხოვრებელი ბინიდან, სხვადასხვა დროს, ბუპრენორფინის შემცველი სხვადასხვა რაოდენობის ნარკოტიკული საშუალება 600 ლარად გაყიდა.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა ამოიღეს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. გამოძიებას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტი აწარმოებს.

ნიუსპრესი

# აზერბაიჯანში, აპრილში მოკლული ძმები როსტიაშვილების მკვლელი დააკავეს

აზერბაიჯანში, კახის რაიონში, ადგილობრივი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიერ ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, კახის რაიონის მკვიდრი 24 წლის ვასიფ მუსტავაევი, 2 ქართველი ძმის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

ინფორმაციას ამის შესახებ აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ.

ვასიფ მუსტაფაევი, კახის რაიონში მცხოვრები ორი ქართველი ძმის 54 წლის ბესარიონ და 58 წლის იასე როსტიაშვილების მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ქართველი ძმები საკუთარ სახლებში, აპრილის თვეში ყელგამოჭრილები იპოვეს. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ძმებმა როსტიაშვილებმა მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთი 18 ათას აზერბაიჯანულ მანათად გაყიდეს.

სამართალდამცველებმა მკვლელობის მიზეზად სწორედ ამ ფულის მიტაცება დაასახელეს.

აზერბაიჯანული სააგენტოების ინფორმაციითვე, სომხურ პრესაში თვეების განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მკვლელობა რელიგიურ-ეთნიკური შუღლის ნიადაგზე მოხდა.

ნიუსპრესი

პოლიტიკა

# თიბილოვი: სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა გვინდა

ნათია ხურცილავა



აფხაზეთის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ჯერი დადგა. კრემლი ამჯერად მეკავშირეობას ცხინვალს სთავაზობს. დე-ფაქტო პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვის განცხადებით, რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის მოკავშირეობისა და პარტნიორობის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს.

უკვე ცნობილია, რომ არსებობს მთელი რიგი წინადადებები მომავალ შეთანხმებასთან დაკავშირებით და ჩატარებულია კონსულტაციები რუსეთის ფედერაციის მაღალჩინოსნებთან. კონკრეტულად კი, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის დსთ-ის, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან თანამშრომლობის სამმართველოს ხელმძღვანელთან.

– გამოვედი ინიციატივით, რომ მომავალ შეთანხმებაში განხილული იყოს სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში პირდაპირი შესვლის შესახებ საკითხი, ვიდრე სხვა ფორმები იქნება შემოთავაზებული. არსებობს ქვეყნების პოლიტიკური თანაარსებობის სხვადასხვა ფორმა. ვფიქრობ, უახლოეს დროში მივიღებთ პასუხს ამ შეთავაზებაზე, – განაცხადა თიბილოვმა.

თიბილოვის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან შეხვედრისას საუბარი ასევე შეეხო რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობასა და უსაფრთხოებას.

– სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული საფრთხეები და გამოწვევები. ქართულ მხარეს, ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, აგრესიულ პოლიტიკაში არაფერი შეუცვლია, მიმდინარეობს ქართული შეიარაღებული ძალების გადაიარაღება. საქართველოსთვის შესაძლო თავდასხმის ობიექტად სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი რჩება. მე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ვალდებული ვარ, შევქმნა წინაპირობა, რომ მომავალმა თაობამ სრულიად უსაფრთხოდ იცხოვროს, – ასეთია თიბილოვის პოზიცია.

კრემლის მიერ გეგმაზომიერად დაგეგმილ და უკვე გადადგმულ ნაბიჯებს პოსტ-ფაქტუმ ეხმიანება თბილისი.

პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, საერთაშორისო თანამეგობრობა ინფორმირებულია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის პრობლემის პარალელურად პრობლემა მეორე რეგიონშიც გაჩნდებოდა.

**გიორგი მარგველაშვილი:**

– საერთაშორისო თანამეგობრობამ იცის, რომ ოკუპირებული აფხაზეთის პრობლემის პარალელურად, იგივე პრობლემა გაჩნდებოდა ოკუპირებულ ცხინვალშიც. არის სრული მიუღებლობა ამ საკითხების და კიდევ ერთ რამეს მინდა ხაზი გავუსვა, რომ ოკუპირებულ ცხინვალთან დადებული ე.წ. ხელშეკრულება არც რუბლის სტაბილურობას გაამყარებს და არც ნავთობის ფასს არ გაზრდის. ეს პრობლემები ოკუპირებულ ცხინვალთან ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებით არ წყდება. ისინი საქართველოსთან დიალოგის, კონსტრუქციული თანამშრომლობის ფორმით წყდება და ამაშია მომავალი, როგორც საქართველოსი, ასევე რუსეთის, როგორც აფხაზობის, ასევე ოსობის.

თიბილოვის განცხადება საგარეო უწყებაშიც გააპროტესტეს. როგორც საგარეო უწყების სპიკერმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, ამ თემაზე უკვე დაწყებულია პარტნიორებთან მუშაობა, საქართველოს მეგობარ ქვეყნებთან და ყველა ინფორმირებულია.

– რა თქმა უნდა, ჩვენ შეშფოთებით გავეცანით ამ განცხადებას. ეს არის აბსოლუტურად დესტრუქციული განცხადება როგორც ცხინვალიდან, ასევე რუსეთიდან, რომელიც კარგად გაცნობიერებულია და მათი ძალისხმევით ხდება ასეთი განცხადებების გაკეთება. ჩვენი ქმედითი ბერკეტი არის მოლაპარაკებები პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ყველა ფორმატში, რათა ავტეხოთ განგაში, რომ ეს ხდება და მოვითხოვოთ მათი მხარდაჭერა. ეს არის ერთადერთი დიპლომატიური ბერკეტი, რაც არსებობს, – განაცხადა დავით კერესელიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ლევან ბერძენიშვილის შეფასებით, ლეონიდ თიბილოვი პოლიტიკურ თამაშებში უმნიშვნელო ფიგურაა. მისი თქმით, თიბილოვი

უფრო პრორუსულადაა განწყობილი, ვიდრე სეპარატისტული აფხაზეთის მთავრობა.

დევნილთა მინისტრი სოზარ სუბარი კი აცხადებს, რომ რუსეთი ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიას ნაბიჯ-ნაბიჯ განაგრძობს.

მინისტრის განცხადებით, რუსეთის ანექსიონისტურ ნაბიჯებს იურიდიული ძალა არ ექნება.

**სოზარ სუბარი:**

– ერთადერთი ძალა, რაც ჩვენ გაგვაჩნია, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარება და არაღიარების პოლიტიკის გაგრძელებაა. ჩვენ ამას ძალიან აქტიურად ვიყენებთ. ბუნებრივია, რუსეთი ნაბიჯ-ნაბიჯ განაგრძობს მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიას.

# თიბისი ბანკისა და ბანკი კონსტანტას კონსოლიდაცია იანვარში შედგება



2015 წლის იანვრიდან, თიბისი ბანკი და „ბანკი კონსტანტა“ ერთი იურიდიული პირის სტატუსით გააგრძელებენ მუშაობას. სადღეისოდ, თიბისი ბანკი მიკროსაფინანსო ბაზარზე ლიდერი ბანკის, „კონსტანტას“ აქციების 100 პროცენტის მფლობელია. „ბანკი კონსტანტა“ იანვრამდე უცვლელად გააგრძელებს ოპერირებას, შემდეგ კი „თიბისი ბანკი კონსტანტას“ სახელით გააგრძელებს არსებობას.

ორი ბანკის შერწყმის შესახებ ჟურნალისტებს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე და „ბანკი კონსტანტას“ გენერალური დირექტორი და მიკროფინანსების მიმართულებით თიბისი ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, ნიკოლოზ ქურდიანი ესაუბრა:

თიბისი ბანკის აქციონერთა კრებამ მიკროსაფინანსო ბაზარზე არსებული ახალი გამოწვევებისა და ბიზნესში ზრდის მაღალი პოტენციალის გამო მიიღო გადაწყვეტილება, რომ ორ ბანკს შორის კონსოლიდაციის პროცესი დაწყებულიყო. კონსოლიდაციის შემდეგ ეტაპობრივად მოხდება „კონსტანტას“ გადასვლა თიბისის ბრენდის ქვეშ – „კონსტანტას“ სახელის, ფერებისა და ლოგოს შეცვლა. აღსანიშნავია, რომ მომხმარებლები კვლავაც შეძლებენ „კონსტანტას“ მიერ შეთავაზებული პროდუქტებით სარგებლობას, მაგრამ არჩევას დაემატება თიბისი ბანკის სხვა შეთავაზებებიც.

კონსოლიდაციის პროცესის ფორმალურ მხარესთან, კონკრეტულად კი, მომხმარებელთა ხელშეკრულებების განახლებასთან დაკავშირებით, „ბანკი კონსტანტას“ კლიენტები დროულად იქნებიან ინფორმირებულნი, რათა ამ ორი ბანკის შერწყმის პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ, სწრაფად და ეფექტურად განხორციელდეს.

თიბისი ბანკი „ბანკი კონსტანტას“ მფლობელი 2011 წელს გახდა და ამ დროის მანძილზე ინვესტირების მოცულობამ, დაახლოებით, 226 მილიონი ლარი შეადგინა, რის შედეგად, „კონსტანტას“ მთლიანი პორტფელი 400 პროცენტით გაიზარდა. თიბისი ბანკის ძალისხმევით, „ბანკი კონსტანტას“ მომხმარებელს ქალაქებსა და რეგიონებში შესაძლებლობა მიეცათ, მიეღოთ საჭირო ფინანსური მხარდაჭერა საკუთარი მეურნეობებისა თუ მიკრობიზნესის გასავითარებლად.

„ბანკი კონსტანტა“ კი, საქართველოს მასშტაბით 60-მდე ფილიალს ამუშავებს.

**ვახტანგ ბუცხრიკიძე:**

– ეს არის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება. ჩვენ 2011 წელს გადავწყვიტეთ ბანკი „კონსტანტას“ ინვესტირება. საბოლოოდ კი, მივედით იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ორი ინსტიტუტის შერწყმა. კონსოლიდაციის შემდეგ, მიკროფინანსირება თიბისი ბანკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდება. მიგვაჩნია, რომ შევძლებთ ჩვენი გამოცდილების ეფექტურად განვითარებას იმისთვის, რათა განვავითაროთ მიკროფინანსების სეგმენტი და გავამყაროთ ლიდერის პოზიციები ბაზარზე. ასევე მიგვაჩნია რომ, საქართველოს საფინანსო სექტორისთვის ეს მიკროსაფინანსო ბიზნესში მეტ კონკურენციას ნიშნავს. შედეგად კი, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, „კონსტანტას“ კლიენტებისთვის მეტ შესაძლებლობას, ტექნოლოგიურ სიახლეებს და პროდუქტების ფართო არჩევანს.

**ნიკა ქურდიანი:**

– ამ პროცესს ბევრი დადებითი მხარე აქვს: „კონსტანტას“ მიეცემა საშუალება მიაწოდოს მომხმარებელს ახალი პროდუქტი, რომელიც თიბისი ბანკს აქვს. თუ შევძლებთ ისეთივე წარმატებით მივაწოდოთ მომხმარებელს პროდუქტი, გაცილებით კმაყოფილი დარჩება მომხმარებელი.

კარგია „კონსტანტას“ თანამშრომლებისთვის, რადგან ისეთი გუნდის წევრობა, როგორიც თიბისი ბანკია, მეტი გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

კარგია თავად თიბისი ბანკისთვისაც, რადგან გაიზრდება 60 ფილიალით, თანაც იმ რეგიონებში, სადაც ამ დროისთვის თავად ჯერ არ არის შესული.

# შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში 670 მილიონის კრედიტი გაიცა

ნათია ხურცილავა

**რა მდგომარეობაშია დღეს ქართული სოფელი? რამდენად რეალურად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სისტემაში რეფორმა? სასტუმრო „რედისონში“ გუშინ სოფლის მეურნეობის მიმართულებით მთავრობის მუშაობა პრემიერ-მინისტრმა შეაფასა.**



ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ახალმა ხელისუფლებამ გაპარტახებული სოფელი ჩაიბარა, დღეს კი გლეხი მთავრობის მხარდაჭერას გრძნობს.

ირაკლი ღარიბაშვილი:

– ჩვენ გაპარტახებული სოფელი დაგვხვდა, სადაც ნორმალური ცხოვრებისთვის ელემენტარული პირობებიც არ არსებობდა. ჩვენი მთავრობა ამ მიმართულებით ძალისხმევას არ იშურებს. დღეს გლეხები მთავრობის მხარდაჭერას გრძნობენ, რაც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება. აქედან ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება უნდა დაიწყოს. ორი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გავატარეთ კომპლექსური და მასშტაბური ღონისძიებები, და დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადადგმულმა ნაბიჯებმა წარმატებულ შედეგებამდე მიგვიყვანა. ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ სათანადოდ დაფასდა მშრომელი ადამიანების – გლეხის, ფერმერის, მეწარმის შრომა.

ირაკლი ღარიბაშვილმა შეღავათიან აგროკრედიტებზე გაამახვილა ყურადღება და საწარმოების განვითარების მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში 580 საწარმოს გადაიარაღება მოხდა.

ოთარ დანელია:

– დაფინანსებულია ძალიან ბევრი საწარმო, მათ შორის 580 არის გადაიარაღებული, 86 ახალი საწარმოა. საერთო ჯამში კი 105 საწარმო დაფინანსდა და 10.100-ზე მეტი სამუშაო ადგილია მობილიზებული ამ პროექტების ფარგლებში. სამინისტრო ამ მიმართულებით აგრძელებს მუშაობას, ვახორციელებთ ახალ ცვლილებებს, რომლებიც ნაწილობრივ უკვე შესულია ძალაში და დიდი ნაწილი პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

პრეზენტაციაზე ითქვა, რომ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში უკვე 670 მილიონი ლარის 25 ათას 241 სესხი გაიცა. დაფინანსდა 89 ახალი საწარმო და მათგან უკვე გახსნილია 86, გაფართოვდა და გადაიარაღდა 580. სოფლის მეურნეობის მიმართულებით 35 დარგი დაფინანსდა.

# დავით ლილუაშვილი: სასამართლოს საქმიანობაში ნაციონალური მოძრაობა ისევ ერევა“

გულიკო ბალაძე

ამ დღეებში ეუთოს ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც თავის დროზე საქართველოს მთავრობის მიერ იყო მოწვეული, ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სანდოობის თაობაზე დასკვნა გამოაქვეყნა. უფლებადამცველი დავით ლილუაშვილი აცხადებს, რომ თუკი მართლმსაჯულების სისტემაში რაიმე პრობლემაა, ეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილისა და მის მიერ შექმნილი სისტემის დამსახურებაა, რადგან, ფაქტობრივად, დღემდე სასამართლო ხელისუფლებას ნაციონალური მოძრაობა მართავს.

***— ბატონო დავით, მოგეხსენებათ, დასკვნა გამოაქვეყნა ეუთოს ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც მოწვეული იყო მთავრობის მიერ გამოაქვეყნა დასკვნა საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული ანალიზისთვის. თქვენ როგორ აფასებთ ამ დასკვნას?***

— დიახ, რამდენი დღის წინ ეუთომ წარმოადგინა დასკვნა იმის შესახებ, თითქოს საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა სამართლიანი სასამართლოს უფლებას ვერ უზრუნველყოფს. არგუმენტად მოიყვანა ის, თითქოს ბრალდებულები სათანადო დაცვის უფლებით ვერ სარგებლობდნენ, სისტემატურად ჭიანურდებოდა პროცესები, რაც პოლიტიკური ჩარევის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა კონკრეტულ მოცემულ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფს და ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებას. ეს კრიტიკული დასკვნები გააკეთა ეუთომ საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაზე, რაც მინდა შევაფასო შემდეგნაირად — ეუთო ამ შეფასებების დროს, გარკვეულწილად არაობიექტური იყო.

***— კონკრეტულად, რაში არ ეთანხმებით?***

— მოგახსენებთ, ჩემს არგუმენტაციას. პირველი — დასკვნაში წერენ, რომ ბრალდებულები ვერ სარგებლობდნენ სათანადო დაცვის უფლებით. ეს არის სრული აბსურდი. ლაპარაკია 14 მაღალჩინოსანზე.

***— დიახ, ძირითადად საუბარია ნაციონალური მოძრაობის ყოფილ მაღალჩინოსნებზე, რომლებიც იყვნენ სააკაშვილის რეჟიმის შემოქმედნი.***

— დიახ. აღნიშნული დასკვნა არის 16-გვერდიანი და 14 ყოფილი თანამდებობის პირის სასამართლო საქმეებს ეხება. ლაპარაკია იმაზე, თითქოს ისინი ვერ სარგებლობდნენ სათანადო დაცვის უფლებით. ყველა კარგად ვხედავდით, რას წარმოადგენდა სააკაშვილის სასამართლო. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, შეიცვალა ვითარება, ამოქმედდა საჯაროობის პრინციპი — მასმედიის წარმომადგენლებს თავისუფლად შეუძლიათ დაესწრონ სასამართლო პროცესებს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებამ მივიღოთ შესაბამისი ინფორმაცია. გავიხსენოთ, თითოეულ პატიმარს 3-4 ადვოკატი ჰყავდა და ძალიან ოპერატიულ რეჟიმში ახდენდნენ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებას.

***— მაშინ რატომ უნდა დაეწერა ასეთი დასკვნა?***

— ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, დასკვნაში ნათქვამია, რომ სისტემატურად ჭიანურდებოდა პროცესები, რაც პოლიტიკური ჩარევების შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვინ უნდა ახდენდეს სასამართლოზე ზეწოლას, სასამართლო პროცესებში ჩარევას, როცა დღემდე ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ სოლიდურ ფიგურას კოტე კუბლაშვილს აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება და სასამართლო სისტემის ვერტიკალზე ის ახორციელებს ზედამხედველობას.

დიახ, ერთდროულად რამდენიმე თანამდებობა უჭირავს. გამოვრიცხავ, სასამართლოს საქმიანობაში რამენაირი პოლიტიკური ჩარევა რომ ყოფილიყო. პოლიტიკურ ჩარევას ადგილი რომ ჰქონოდა, კოტე კუბლაშვილი და მისი ფავორიტი მოსამართლეები, რომლებიც თავის დროზე ნაციონალურმა მოძრაობამ შეარჩია პირადი ერთგულების ნიშნით, გამოვიდოდნენ და ამის შესახებ ხმამაღლა განაცხადებდნენ. ასეთ რამ არ ყოფილა. მაშინ როგორ გააკეთა ეუთომ დასკვნა, როცა სასამართლო სისტემის ხელმძღვანელობა, ქართული მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლები ამაზე არ ლაპარაკობენ, ეს არის გასაკვირი.

***— მით უმეტეს, რომ სასამართლო სისტემის ხელმძღვანელობა დაპირისპირებულია არსებულ ხელისუფლებასთან, იუსტიციის მინისტრთან და ზეწოლა რომ ყოფილიყო, არ დაზოგავდნენ. თუ ზეწოლა იყო, ხმამაღლა ხომ უნდა განეცხადებინათ?***

— მე ვეთანხმები ეუთოს, რომ სასამართლოზე ხორციელდება პოლიტიკური ჩარევები, ოღონდ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან. იმიტომ, რომ შესაბამისი ბერკეტები დღემდე პოლიტიკურ გაერთიანება ნაციონალურ მოძრაობას უპყრია. ვფიქრობ, ცოტა ხანში დასრულდება ეს პროცესი, ვინაიდან 2015 წლის 15 მარტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეთა კორპუსის ნაწილს უფლებამოსილება ეწურება და მათ მაგივრად მოვლენ ისეთი პირები, რომლებიც არ იქნებიან მიკერძოებულები და არ იქნებიან, რომელიმე პარტიის ან სახელისუფლებო ზეგავლენის ქვეშ.

***— სხვათა შორის, კუბლაშვილმა განაცხადა, რომ თუკი საუბარია, მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაზე, ეს, პირველ რიგში, წულუკიანი იგულისხმებაო.***

— დასკვნაში საუბარია იმის შესახებ, რომ სასამართლო პროცესებზე სისტემატურად ირღვეოდა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რასაც ხელისუფლების წარმომადგენლები უწყობდნენ ხელსო. დასკვნაში არ არის პერსონიფიცირება და ანალიზი, ზოგადადაა ნათქვამი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას ხელისუფლების წარმომადგენლები უწყობდნენ ხელსო. კონკრეტულად, ვინ იგულისხმება, ვერ მოგახსენებთ. თუ ასეთს ჰქონდა ადგილი, ეს ჩემთვის, როგორც უფლებადამცველისთვის მიუღებელია.

***— მე იმის თქმა მინდა, რომ თვითონ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი თავის თავზე კი არ იღებს შენიშვნებს, არამედ შენიშვნების გადამისამართებას ახდენს.***

— ეს გასაგებიც არის. კუბლაშვილი თავის მოქმედებებს და რიტორიკას კრიტიკულად თვითონ ხომ არ შეაფასებს. ამ შემთხვევაში ასეთი განცხადებებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის.

***— ფაქტია, რომ დღემდე, ფაქტობრივად, სასამართლო ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის მმართველობაა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და სანდოობა როგორი იქნება?***

— აღნიშნული გარემოება სერიოზულია და ღირსებას არ სძენს, მაგრამ ეს არ არის ახალი ხელისუფლების დანაშაული. თავის დროზე ნაციონალურმა მოძრაობამ კოტე კუბლაშვილის ხელით შექმნა საქართველოში კვაზი მართლმსაჯულების სისტემა. მოგეხსენებათ, ათასობით უდანაშაულო ადამიანი პროკურატურისა და სასამართლოს „მომსახურებით“ ციხეებში იმყოფებოდა. თუ ახლა ყოფილი მაღალჩინოსნების ადვოკატები ფიქრობენ, რომ დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება, ანუ ევროპული



კუბლაშვილი თავის მოქმედებებს და რიტორიკას კრიტიკულად თვითონ ხომ არ შეაფასებს. ამ შემთხვევაში ასეთი განცხადებებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის.

კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დარღვევებს, მაშინ მათ შეუძლიათ მიმართონ, როგორც აღმკვეთი ღონისძიების, წინასწარი პატიმრობის პროცედურების ან სასამართლოზე არსებითი განხილვის დროს დარღვევების შესახებ ევროპულ სასამართლოს და იქ აღიდგინონ თავიანთი უფლებები.

***— წლების წინ, სააკაშვილის ზეობის ხანაში, სასამართლოს სანდოობასთან დაკავშირებით, ვმონაწილეობდი გამოკითხვის ჩატარებაში და 20 გამოკითხულიდან 1 კაცი (ან არც ერთი) თუ გამოხატავდა ნდობას კუბლაშვილისა და მისი სასამართლოს მიმართ. არ ვიცი, ახლა არ ვიცი კუბლაშვილის მიმართ სანდოობის ხარისხი როგორია, მაგრამ ვფიქრობ, სასამართლოს მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მთავრობის მხრიდან პოლიტიკური ზეწოლის თვალსაზრისით.***

— ტოტალური ზეწოლა, რაც სააკაშვილის დროს ხორციელდებოდა მართლმსაჯულების სისტემასა და მათ წარმომადგენლებზე მოსამართლეებზე, მთავრობის მხრიდან აღარ ხორციელდება, მაგრამ კუბლაშვილმა შექმნა სისტემა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში დიდწილად პრობლემა იყო უფლებადამცველებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის და ახლაც დიდწილად ჩვენი უკმაყოფილების საგანს წარმოადგენს.

***— რატომ ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას კონსტანტინე კუბლაშვილი იმის, გამო, რომ 100-ზე მეტი პოლიტიკური განაჩენი გამოიტანა სასამართლომ მისი თავმჯდომარეობის პერიოდში? პოლიტპატიმრების არსებობა საქართველოს პარლამენტმა დადგენილებით აღიარა.***

— 100-ზე მეტი პოლიტპატიმარი, 25 პოლიტდევნილის სტატუსის მქონე პირია. სანამ პარლამენტი ამნისტიის თაობაზე დადგენილებას მიიღებდა, იყო პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა სტატუსის მინიჭება. მანამდე გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები ნორა კვიციანი, ზაზა დავითაია, თემურ ჟორჟოლიანი, სულხან მოლაშვილი და სხვები.

***— კუბლაშვილს ისე მოაქვს თავი, თითქოს ჩვენ ვიყოთ ამ ადამიანების მიმართ დამდგარი პოლიტიკური განაჩენების ავტორი და არა მისი კურირების ქვეშ მყოფი სასამართლო. ოდნავ მაინც რატომ ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას და რატომ არ გამოთქვამს წუხილს მაინც მომხდარის გამო?***

— იმიტომ, რომ კარგად იცის, როგორც საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის არქიტექტორსა და შემოქმედს, ამის გამო გარკვეული პერიოდის შემდეგ პასუხი მოეთხოვება. ამიტომ წინმსწრებად აღიარებით ჩვენებას ხომ არ მისცემს ამ საკითხით დაინტერესებულ მხარეს.

***— მოგეხსენებათ, ის პირები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის სისასტიკის მსხვერპლნი შექმნენ, სამართლიანობის აღდგენას მოითხოვენ, ხოლო ის პირები, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხი დადგა ახლანდელი ხელისუფლების პირობებში (იგულისხმებიან ბაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნები), აცხადებენ, რომ პოლიტიკური ნიშნით იდევნებიან. სად გადის ზღვარი სამართლიანობის აღდგენასა და პოლიტიკურ დევნას შორის?***

— ყოფილი მაღალჩინოსნები პოლიტიკური დევნის თაობაზე განცხადებებს გააკეთებენ, ეს გასაკვირი არც არის. როგორც კოტე კუბლაშვილი არ იძლევა აღიარებით ჩვენებას წინმსწრებად და არ ნანობს მის მიერ ჩადენილ ცოდვებსა და დანაშაულობებზე, ისეთივე პოზიციებზე არიან ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებიც. თუმცა, მათ შორისაც აღმოჩნდნენ სუსტი რგოლები და მათ მისცეს ჩვენებები. პროკურატურისთვის ჩვენებების შედეგად გახდა შესაძლებელი, გაესამართლებინათ ყოფილი მაღალჩინოსნები. მათ შორის ვანო მერაბიშვილი, კოდუა და სხვები. კარგად მახსოვს კუდის თანამშრომლები, რომლებიც აძლევდნენ ჩვენებებს სხვადასხვა საქმეებზე. მათ შორის, გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით.

***— თვით სამართლიანობის აღდგენის პროცესი როგორ მიმდინარეობს?***

— ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ ისინი განიცდიან პოლიტიკურ დევნას, რაც არის სრული აბსურდი. წინა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს ჩადენილი ჰქონდათ დანაშაული და სწორედ ამის გამო იმყოფებიან სხვადასხვა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში და არა თავიანთი პოლიტიკური მრწამსის გამო გახდნენ დევნილები. სამართლიანობის აღდგენის პროცესი ძალიან ჭიანურდება, მართალია პოლიტპატიმრები პატიმრობიდან გათავისუფლდნენ, მაგრამ მათი პოლიტიკური რეაბილიტაცია არ მოხდა. პარლამენტის შესაბამისი დადგენილებას სამართლებრივი რეაბილიტაცია არ მოჰყოლია. გარკვეულ პერიოდში ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ შეიქმნებოდა მართლმსაჯულების ხარვეზების კომისია, ასეთ დაპირებებს იძლეოდნენ მაშინაც კი, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდნენ, მაგრამ კომისია არ შეიქმნა, რომელიც უზრუნველყოფდა პოლიტიკური საქმეების შესწავლასა და სასამართლოში რეკომენდაციას გადააგზავნიდა საქმეების გადასინჯვის თაობაზე.

***— სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე თუ გაქვთ ინფორმაცია? ზოგადად რომ შევაფასოთ მდგომარეობა და შევადაროთ წინა პერიოდს.***

— საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში მდგომარეობა ისე რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, რომ წინა ხელისუფლების დროს არსებულ ვითარებასთან შედარებაც არ შეიძლება. ციხეებში აღარ ხდება ტოტალურად პატიმართა უფლებების დარღვევის ფაქტები, პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტები. არის, რა თქმა უნდა, ერთეულ შემთხვევებში, მაგრამ ამ ერთეულ შემთხვევებზეც ძალიან სწრაფად და ოპერატიულად ხდება ხოლმე რეაგირება. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, უახლოეს პერიოდში სასჯელაღსრულების სისტემაში სერიოზული რეფორმა იგეგმება და ჩვენი ეროვნული სტანდარტები საერთაშორისო სტანდარტებს სრულად გაუტოლდება.

# პაატა ზაქარეიშვილი: მგონი, თიბილოვს მისდამი ქართული პრესის ასეთი ყურადღება მოსწონს“

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ვარაუდობს, რომ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე. წ. პრეზიდენტს, ლეონიდ თიბილოვს ქართველი ჟურნალისტების მიერ მისდამი გამოჩენილი ყურადღება მოსწონს.

ზაქარეიშვილმა ამის შესახებ ჟურნალისტებს თიბილოვის იმ ინიციატივის კომენტირებისას განუცხადა, რომელიც მოკავშირეობისა და პარტნიორობის შესახებ მომავალ შეთანხმებაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების საკითხის შეტანას შეეხება.

„მგონი, თიბილოვს ქართული პრესის ასეთი ყურადღება მის მიმართ მოსწონს და იცის, რომ ყოველ დილით, მაგალითად, მერცხლებზე თუ ილაპარაკებს, ამაზე გავაკეთებთ კომენტარს. არასერიოზულია, როდესაც საქართველოში ოფიციალური პირები რეაგირებას არაოფიციალურ პირებზე ახდენენ. მაგრამ თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ სწორია, კომენტარს გავაკეთებ. რუსეთთან სამხრეთ ოსეთის მიერთების საფრთხე უკვე 2008 წლის აგვისტოდან არსებობს, ანუ იმაზე მეტი მიერთება, რაც რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში განახორციელა, ვეღარ მოხდება. რამდენი წყალი შეიძლება ჩაასხა 3-ლიტრიან



ქილაში? — მხოლოდ სამი ლიტრი, დანარჩენი გადმოიღვრება. ანუ რუსეთმა დიდი ხანია, სამხრეთ ოსეთი მიითვისა, სიტუაციას თვითონ მართავს. იქ რუსული რუბლი ტრიალებს, რუსეთის საოკუპაციო ჯარები დგანან. არ არსებობს არანაირი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-სამართლებრივი ქცევები, რომლებიც შეიძლება არ უკავშირდებოდეს საოკუპაციო ჯარებს, ანუ შეუძლებელია, სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერ ამაზე მეტად იყოს ათვისებული“, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

მედიანიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და საოპერაციოვე სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცრებაა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

2014, 12 დეკემბერი, №294

# რუსეთმა პოროშენკოს დამხობის ოპერაცია დაიწყო?

### რუსული სპეცსამსახურები ტერორზე გადადიან

— უკვე ამოქმედებულია სპეციალური პროგრამა, რომელიც უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს დამხობას ითვალისწინებს! მომავალი წლის მაისში პოროშენკო პრეზიდენტი აღარ იქნება, სექტემბრისათვის კი უკრაინა მარტივ მამრავლებად დაიშლება! — განაცხადა ჟირინოვსკიმ.

ვლადიმერ ვოლფოვიჩმა კვლავ გარკვეული პროკრემლური ძალების პოზიცია გაახმოვანა. აღსანიშნავია, რომ ამ განცხადებას უკრაინის რიგ ქალაქებში ტერორისტული აქტები მოჰყვა. რუსული სპეცსამსახურები მართლაც მკვეთრად გააქტიურდნენ. მიზანი უცვლელია: უკრაინის დაშლა.



ვალენტინ ნალივაიჩენკო და ევგენი მარჩუკი

### „სიჩუმის“ დღე სიჩუმის გარეშე

პრეზიდენტი პოროშენკო კვლავ ჯიუტად ცდილობს დონბასში მშვიდობის დამყარებას. მან რუსეთს მორიგი სამშვიდობო წინადადებით მიმართა და შესთავაზა, 9 დეკემბრიდან „სიჩუმის დღეები“ გამოეცხადებინათ.

— მთავარია, ცეცხლის შეწყვეტას მივაღწიოთ. ამის შემდეგ მშვიდობიანი დიალოგი დაიწყება, — თქვა პოროშენკომ.

„დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების“ ლიდერებმა პრეზიდენტის წინადადება მიიღეს. მართალია, ამის შემდეგ უკრაინელ სამხედროებზე თავდასხმებმა მკვეთრად იკლო, მაგრამ სრული „სიჩუმის“ ჩამოგდება ვერ მოხერხდა.

— ჩვენ მშვიდობა გვსურს და სიჩუმის რეჟიმს განუხრელად ვიცავთ. სამწუხაროდ, მეორე მხარის შესახებ ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი, — განაცხადა უკრაინის უშიშროების საბჭოს წარმომადგენელმა ლისენკომ.

9-10 დეკემბერს შედარებითი სიმშვიდე იყო პესკისთან, მარინკასთან. სამაგიეროდ, მარიუპოლის მიმართულებით ბოევიკებმა უკრაინელ სამხედროებზე რამდენიმე თავდასხმა განახორციელეს.

— სეპარატისტები ვერაგულად მოქმედებენ. ისინი გვესვრიან და შემდეგ გარბიან, — განუცხადა „ინტერის“ კორესპონდენტს ერთ-ერთმა უკრაინელმა ჯარისკაცმა.

მსგავს პროვოკაციებს ადგილი ჰქონდათ დებალცევოსთან, სჩასტიესთან, მიკიშინოსთან. სეპარატისტები უკრაინელებს ცეცხლს უხსნიდნენ, შემდეგ კი გარბოდნენ. სულ 9-10 დეკემბრის განმავლობაში დაფიქსირებულია სეპარატისტი-ბოევიკების მიერ უკრაინელებისთვის ცეცხლის გახსნის 16 შემთხვევა.

— „სიჩუმის დღემ“ ის შედეგი გამოიღო, რომ ტერორისტების მცირერიცხოვანი მობილური ჯგუფები მოქმედებაზე გადავიდნენ. ისინი


ლიაშკო ზაპოროჟიეში

პარტიზანულ ტაქტიკას იყენებენ, რომელიც მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: მოჰკალ და გაუჩინარდი! — იტყობინება ტსნ.

ამრიგად, სრულმა სიჩუმემ ჯერჯერობით ვერ დაისადგურა, თუმცა გარკვეული პოზიტიური ძვრები უდავოდ არსებობს. დონბასის მოსახლეობის უმრავლესობას მშვიდობა უნდა, რაც პუტინისეულ სქემაში არ ჯდება.

— პუტინს უკრაინის კაპიტულაცია სურს, რაც ფედერალიზაციასა და ევროინტეგრაციაზე უარს ნიშნავს, — თვლის რადიო „თავისუფლება“.

ის, რომ „სიჩუმის დღეებში“ სრულმა სიჩუმემ არ დაისადგურა, რუსული სპეცსამსახურების მუშაობის შედეგია.

### დონეცკის აეროპორტზე კვლავაც უკრაინული დროშა ფრიალებს

რუსული სპეციალური ნაწილის „ედელვაისის“ განადგურების შემდეგ დონეცკის აეროპორტის მიდამოებში ერთ ხანს სიმშვიდე დადგა. უკრაინელმა სამხედროებმა თავიანთი დროშები უკვე ასაფრენ ზოლზე და მეტეოროლოგიურ სადგურზეც აღმართეს. ამან სეპარატისტები აღაშფოთა. უკრაინელთა მიმართულებით ყუმბარების ახალი კასკადი წამოვიდა.

— ჩვენმა ბიჭებმა მტერს საკადრისი პასუხი გასცეს, — იტყობინება ტსნ.

10 დეკემბერს „ნოვოროსიის“ ტელევიზიით ბანდა „სომალის“ მეთაური ოდიოზური „გივი“ გამოვიდა. მან, როგორც ცნობილია, არაერთხელ განაცხადა, დონეცკის აეროპორტი ავიღეთო, რითაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა რუსეთის ტელევიზია, რომელმაც მაყურებელს რამოდენიმეჯერ ახარა, დონეცკის აეროპორტიდან უკრაინელები განდევნესო. შემდგომ გამოირკვა, რომ ეს სიცრუეა. აეროპორტის ორივე ტერმინალზე და ასაფრენ ზოლზე უკრაინული დროშებია აღმართული. ბანდა „სომალიმ“ კი უზარმაზარი დანაკარგი განიცადა. „გივი“ ტელეეკრანზე აშკარად შეფერთხილი გამოიყურებოდა. ალკო-ნარკო ნივთიერებების კვალი შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა. ჟურნალისტის შეკითხვაზე, როგორ მოხდა, რომ უკრაინელებმა აეროპორტი შეინარჩუნესო, მიუგო:

— კიბორგები საგანგებოდ გაწვრთნილი დაქირავებული მებრძოლები არიან. აქ შეხვდებით პოლონელებს, გერმანელებს, ამერიკელებს და თვით ზანგებსაც კი! ისინი ბევრად უკეთ არიან აღჭურვილნი, ვიდრე ჩვენ!

ამრიგად „გივიმ“ თავისი მარცხი მითიურ ზანგებს გადააბრალა, თუმცა ეს არ უნდა გვიკვირდეს. სასმელი და ნარკოტიკი ადამიანის ფსიქიკაზე ძლიერ მოქმედებს. მარცხთან შეგუებაც ძნელია. როგორც ჩანს „გივის“ ეს ძალიან ტანჯავდა, რადგანაც, 10 დეკემბერს დონეცკის აეროპორტის ტერმინალების „ზაჩისტკა“ მოინდომა. მართალია, დობასში უკვე „სიჩუმის რეჟიმი“ მოქმედებდა, მაგრამ „გივისათვის“ ეს არაფერს ნიშნავდა.

— თუკი უკრები ნებით არ დაგვნებდებიან, გავანადგურებთ! — „გივის“ ეს სიტყვები სეპარატისტების საიტმა „რუსსკაია ვესნამ“ გაავრცელა.

ბანდიტების მეთაურის მორიგი მცდელობა ამჯერადაც მარცხით დასრულდა. უკრაინელებმა დაუპატიჟებელ სტუმრებს საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს. „სომალიმაც“ აეროპორტის ტერიტორია კუდამოძუებულმა დატოვა. ამის შემდეგ „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ წარმომადგენელმა მოსკოვში პუშილინმა განაცხადა:

— უკრაინელები სამშვიდობო შეთანხმებას არღვევენ. მათ დონეცკის აეროპორტს ყუმბარები დაუშინეს!

ამ სიტყვებმა ღიმილი გამოიწვია :

— დონეცკის აეროპორტზე უკრაინული დროშა ფრიალებს! შესაბამისად, ამ ობიექტის შტურმის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა! — განაცხადა უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ვალენტინ ბუნიაჩენკომ.

### ტერაქტი ოდესაში

დონბასში სიჩუმის დღეების დადგომასთან ერთად რუსული სპეცსამსახურები მთელი უკრაინის მასშტაბით გააქტიურდნენ. ხარკოვში ჯერ ანტიუკრაინული პროკლამაციები გავრცელდა, შემდეგ ახალგაზრდულ პარკში აფეთქებაც მოხდა.

— უცნობმა ტერორისტებმა ახალგაზრდულ პარკში უპა-ს (უკრაინის აჯანყებულთა არმია) ხსოვნის ნიშნული ააფეთქეს, — იტყობინება ტსნ.

მეორე დღეს ტერაქტი ოდესაშიც მოხდა. ტერორისტებმა ამჯერად ააფეთქეს ბიზნესცენტრი, სადაც უკრაინის არმიის მხარდამჭერი საზოგადოების ოფისი იყო განთავსებული. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა, თუმცა თავად შენობა გვარიანად დაზიანდა.

— ტერაქტი ოდესაში მიზნად მოსახლეობის დაშინებას ისახავს, — აცხადებს უკრაინის უშიშროების სამსახურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ვასილი ვოვკი.

გენერლის ცნობით, რუსების მიზანი უკრაინის მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის დესტაბილიზაციაა. რუსული სპეცსამსახურებიც ტერორზე გადავიდნენ. დღეისათვის მათი მთავარი სამიზნეებია ხარკოვი და ოდესა, ხოლო უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ტერორისტული აქტები ხერსონში, ნიკოლაევში, დნეპროპეტროვსკში.

— ბოევიკებმა თავის დროზე ვერც ოდესის, ვერც ხარკოვის აღება ვერ შეძლეს. დღეისათვის უშიშროების სამსახური ამ ქალაქებში სიტუაციას მეტ-ნაკლებად ფლობს. მოსახლეობას ვთხოვ, ნუ მიეცემიან პანიკას, დაიცვან სიმშვიდე და იყვნენ დისციპლინირებულნი. ეს გამარჯვების უმთავრესი გარანტიაა, — აცხადებს ვოვკი.

### როგორ აპირებენ რუსები პოროშენკოს დამხობას?

ექსპერტების აზრით, ტერაქტები ხარკოვსა და ოდესაში შემთხვევითი არაა. ეს იმ შეთქმულების ნაწილია, რომელიც პრეზიდენტ პოროშენკოს დამხობით უნდა დასრულდეს. სპეციალისტების აზრით, ტერაქტებით რუსეთი ცდილობს, უკრაინაში ქაოსი გააღვივოს, მოახდინოს სახელმწიფო სტრუქტურების დეზორგანიზაცია, დააშინოს მოსახლეობა. უკრაინას ცივი ზამთარი ელის, უკმაყოფილოთა რიცხვი იზრდება, შესაბამისად, გაზაფხულზე ახალი საპროტესტო ტალღის საფრთხეც რეალურია.

სავარაუდოდ, კრემლი დაეყრდნობა როგორც ლუმპენებს, ასევე უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონების „ელიტას“ (მათ, ვინც იანუკოვიჩს ემხრობოდა), ასევე ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილე ცალკეულ ნაწილებს. ომის შედეგად უკრაინაში წარმოიქმნა ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომლის პროფესიაც ომია. მათი მოსყიდვა ან პროვოკაციაზე წამოგება მართლაც შესაძლებელია.

### ხალხი პოროშენკოსაგან გადამჭრელ მოქმედებას მოითხოვს

გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, — ნათქვამია. საფრთხემ, რაც უკრაინას რუსეთისაგან ემუქრება, აიძულა მისი ხელმძღვანელობა დასავლეთთან დაახლოების გზები უფრო აქტიურად ეძება და ამ საქმეში პროფესიონალები ჩაერთო. 10 დეკემბერს ოფიციალურად გამოცხადდა საერთაშორისო სამდივნოს შექმნა, რომლის მიზანია როგორც ნატოს, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნების უშიშროების სამსახურებთან ურთიერთობების განვითარება. მას სათავეში უკრაინის უშიშროების სამსახურის დამაარსებელი, გენერალი ევგენი მარჩუკი ჩაუდგა.

— მარჩუკი გამოცდილი და პრინციპული პროფესიონალია! ის შეძლებს დასავლეთის უშიშროების სტრუქტურებთან ურთიერთობების აწყობას, რაც ხელს შეუწყობს უკრაინის დაახლოებას როგორც ევროკავშირთან, ასევე ნატოსთან, — განაცხადა უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა შეფმა ვალენტინ ნალივაიჩენკომ.

უკრაინის მოსახლეობა, თავის მხრივ, პოროშენკოსაგან გადამჭრელ მოქმედებას მოითხოვს. პატრიოტების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ რეგიონებში ხელისუფლებას კვლავაც იანუკოვიჩის მომხრეებს უპყრიათ, ოფიციალური კიევი კი ამას ეგუება.

— გამოსვლები ვინიცაში სწორედ ადგილობრივ ხელისუფლებაში იანუკოვიჩისეული კადრების მოძალებით იყო განპირობებული, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.


გენერალი ვოვკი

ანალოგიური ვითარება შეიქმნა ზაპოროჟიეში, სადაც ხალხი იქაური მერის (ეროვნებით კორეელი) სინის წინააღმდეგ ადგა. სინი თავის დროზე იანუკოვიჩს აქტიურად უჭერდა მხარს და ზაპოროჟიეში ევრომაიდანის მომხრეებს სასტიკად დევნიდა. საოცარია, მაგრამ რევოლუციის შემდეგ ამ კაცმა თანამდებობა შეინარჩუნა. როცა პოროშენკოს ჰკითხეს, ეს რამ განაპირობაო, პრეზიდენტმა მიუგო:

— სინი თავის დროზე მერად აირჩიეს. სანამ ახალი არჩევნები არ ჩატარდება, მისი მოხსნა ან პასუხისგებაში მიცემა შეუძლებელია.

რევოლუციის შემდეგ სინი ფორმალურად მხარს ახალ ხელისუფლებას უჭერდა. სინამდვილეში, „დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკის“ ემისრებს საიდუმლოდ ხვდებოდა, მათ მხარდაჭერას ჰპირდებოდა. მერის გარშემო შემოიკრიბნენ ძალები, რომლებიც „ზაპოროჟიეს სახალხო რესპუბლიკის“ გამოცხადებას მოითხოვდნენ. ოფიციალური კიევი კვლავ ვერაფერს ამჩნევდა. მაშინ ზაპოროჟიეს მცხოვრებლები ქუჩაში გამოვიდნენ და მერის გადაყენება მოითხოვეს. ქალაქში ჩასულმა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ოლეგ ლიაშკომ მერს სეპარატიზმი დასდო ბრალად და მისი არა მხოლოდ გადაყენება, არამედ პასუხისგებაში მიცემაც მოითხოვა.

— ხალხი, ლიაშკოს ხელმძღვანელობით, ქალაქის საბჭოს შენობისაკენ გაემართა, სადაც სესია მიმდინარეობდა, — იტყობინება „ინტერი“.

რამდენიმე აქტივისტი მერის სახლისაკენ წავიდა. მათ სინი სესიაზე მოათრიეს. კუთხეში მიმწყვდეული მერი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ლიაშკოსა და პატრიოტი-აქტივისტების გამოჩენისთანავე დეპუტატების დიდი ნაწილი დარბაზიდან გავიდა. ლიაშკოს მოთხოვნის შედეგად სინმა იქვე გადადგომის შესახებ გამოაცხადა.

— ქუჩაში შეკრებილი ხალხი ამას ოვაციებით შეხვდა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

დარბაზში კვორუმი აღარ იყო, ამიტომ სესიას სინის გადადგომის მიღება არ შეეძლო. მიუხედავად ამისა ოლეგ ლიაშკო მანიფესტანტებთან გავიდა და ხალხს გამარჯვება მოულოცა. „არ გამოვრიცხავ, რომ ხვალ სინმა თავისი სიტყვები გადათქვას, მაგრამ სულის მოთქმის საშუალება არ უნდა მივცეთ!“ — თქვა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა.

— მთავარია არა ის, გადადგება თუ არა სინი! მთავარი ისაა, რომ მის წინააღმდეგ აღსდექით! თუკი მომავალშიც ასეთ შემართებას შეინარჩუნებთ, სინი და მისთანები ვერაფერს დაგვაკლებენ, — თქვა ლიაშკომ.

მიტინგმაც მიიღო რეზოლუცია, სადაც პრეზიდენტს რუსული მეხუთე კოლონის მიმართ მკაცრი ზომების გატარებას სთხოვენ.

რამდენად შეძლებს პოროშენკო ხალხის მოთხოვნის დაკმაყოფილებას?

**ნიკა თევზაძე**


## [illegible]

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმი ყველანაირი გართულების მოხსნით და ღვიძლის გაწმენდით, „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“. პრეპერატი შეგიძლიათ ფარულად საკვებში შეურიოთ,. თამბაქოს მწეველობის მიტოვება (ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან) ნეტუროპათიითა და ფიტოთერაპიით. გარანტირებულად უსაფრთხო მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 599-65-43-66; 557-14-22-36 ნინო ექიმი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, სამტრედიის 50-ში, შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ნუ გადადებთ ზაფხულისთვის. ტელ: 235-15-96.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

## ცენტრალური გათბობა საბითუმო ფასებში

თანამედროვე დიზაინის უმაღლესი ხარისხის იტალიური წარმოების გათბობის სისტემები მონტაჟით.

ტელ: 579-10-40-94

ემზარ ამნიაშვილი

# გია ნიჟარაძე: ქართული კლუბი მომავალ ჩელენჯ ქაპზე“ აღარ ითამაშებს“



გავრცელდა ინფორმაცია „ჩელენჯ ქაპის“ შესარჩევი (მე-3 დონის) ევროპული საკლუბო ტურნირის გამართვის შესახებ.

საქართველოს რაგბის კავშირის ვებგვერდზე გამოქვეყნდა სრკ-ის პრეზიდენტ გიორგი ნიჟარაძის ინტერვიუ ამ ტურნირზე ქართული კლუბის მონაწილეობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ:

**გიორგი ნიჟარაძე:**

— სანამ გადავალთ უშუალოდ ჩვენს გადაწყვეტილებაზე, მოდით, დავბრუნდეთ ცოტა უკან. როგორც მოგეხსენებათ, პირველად ჩვენს ისტორიაში წელს, ქართულმა სელექციამ — თბილისური და ქუთაისური კლუბების ნაკრებმა გუნდმა, რომელსაც დაერქვა „თბილისის კავკასიელები“, მიიღო მონაწილეობა „ჩელენჯ ქაპის“ გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპზე. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ აგერ უკვე მე-8 წელია, რაც რაგბიში ვარ და მსგავსი ქაოსი, რომელიც ამ საკვალიფიკაციო ტურნირს ახლდა, არსად მინახავს — ამას გულწრფელად და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ.

ჩვენ ისე ვეთამაშეთ იტალიურ კლუბ „როვიგოს“, რომ პრაქტიკულად არაფერი ვიცოდით. არ იყო ცნობილი პრინციპი, მოწინააღმდეგე, დროები, პირობები, დაფინანსება და უნდა ითქვას, რომ ბრმად ჩავერთეთ ამ საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში, გამომდინარე იმ უდიდესი მნიშვნელობიდან, რომელსაც ჩვენ ვანიჭებთ ქართული კლუბების ევროპულ ასპარეზზე გასვლას. მოგვიწია საქართველოს ჩემპიონატის ფორმატის შეცვლა და მისი ორი კვირით ადრე, აგვისტოში დაწყება. იმისათვის, რომ შეგვექმნა პირობები ამ ჩვენი გუნდის მოსამზადებლად, პირველი წრის კალენდარში შეიქმნა სპეციალური, ეგრეთ წოდებული ორკვირიანი ფანჯრები, როდესაც ერთი კვირა გუნდი უნდა მომზადებულიყო და შემდეგ ეთამაშა.

ამან ძალიან სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა:

1) ვერ ვიშოვეთ ფული და მოგვიწია ჩვენი ბიუჯეტის სხვა სტატიების შემცირების ხარჯზე, დაუგეგმავი და სერიოზული ხარჯების გაწევა;

2) ამ ფანჯრებმა გუნდებს მოსამზადებელ პერიოდში სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. წარმოიდგინეთ, გუნდები ემზადებიან ჩემპიონატისთვის, თამაშობენ ერთ თამაშს, შემდეგ ორ ტურს ტოვებენ, მერე ისევ თამაშობენ და კვლავ ორ ტურს ტოვებენ. ასეთი გრაფიკი ნებისმიერ გუნდს დაანგრევს და პირდაპირ ვიტყვი, რომ ამან ძალიან სერიოზულად იმოქმედა ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში გუნდების თამაშის ხარისხზე, ვინაიდან ეს ძალიან სერიოზულ ზიანს აყენებს გუნდების მომზადებასა და მათი თამაშის ხარისხს;

შემდეგ მოხდა რაც მოხდა — ვითამაშეთ იტალიურ გუნდთან და წავაგეთ. ამის მერე მოგვდის ოფიციალური წერილი სადაც წერია, რომ მომავალ წელს, ანუ 2015 წელს კვლავ სექტემბერში ვითამაშებთ ორ გადასასვლელ თამაშს „ჩელენჯ ქაპიდან“ ქვედა დივიზიონში ჩამოქვეითებული ორი გუნდიდან ერთ ერთთან. შესაბამისად, ჩვენ ვგეგმავთ მთელ შემდეგ წელიწადს ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით. მეტი შეხება არავისთან არ გვაქვს, არავინ არ გვეხმაურება და შესაბამისად არანაირი სიახლე არ გვაქვს.

ნოემბრის ბოლოს ჩავედით პარიზში „რაგბი ევროპის“ (რაგბის ევროპული ფედერაცია) გენერალურ ასამბლეაზე, სადაც გვხვდება ევროპული პროფესიული საკლუბო რაგბის მხრიდან „რაგბი ევროპასთვის“ გამოგზავნილი შემოთავაზების „ამბავი“, სადაც გვეუბნებიან: „ეპსრმა“ შეიმუშავა „ჩელენჯ ქაფზე“ კვალიფიკაციის სრულიად ახალი ფორმატი, რომლის მიხედვითაც ქართულმა გუნდმა უნდა ითამაშოს საკვალიფიკაციო ტურნირი — ორი თამაში იანვარში, ორი თამაში აპრილში და ორი თამაში მაისში. ამ ტურნირში გამარჯვებული მონაწილეობას იღებს „ჩელენჯ ქაფის“ 2015-16 წლის გათამაშებაში (სავარაუდოდ ნოემბერი, დეკემბერი და იანვარი). ამას გვეუბნებიან პირველ თამაშებამდე ერთი თვით ადრე. თან ჩვენ კი არ გვატყობინებენ, არამედ გველაპარაკებიან „რაგბი ევროპის“ მეშვეობით, რომლის პოზიციაც ახლავე მინდა ვთქვა, რომ არის აგრეთვე მკვეთრად ნეგატიური ასეთი დამოკიდებულების გამო.

ის, რასაც „ეპსრ“ აკეთებს, ყველაზე რბილად რომ ვთქვათ, არაპროფესიონალური, უპასუხისმგებლო და არაკოლეგიალური დამოკიდებულებაა. სარაგბო სამყაროში ყველას ესმის, რომ ერთი თვის განმავლობაში ჩვენ ვერაფრით ვიშოვით იმდენ ფულს, რომელიც ეყოფა ამ ექვს თამაშს და, ამ ტურნირის მოგების შემთხვევაში, 2015 წლის ბოლოს, 2016 წლის დასაწყისში, დამატებით კიდევ ექვსი თამაშისთვის საკმარ თანხებს. პრაქტიკულად, გამოდის, რომ იმ ბიუჯეტს, რომელიც ჩვენ გვქონდა გათვლილი მაქსიმუმ ექვს თამაშზე (დაახლოებით 800.000 ლარი ან ცოტა მეტი), ემატება კიდევ ექვსი თამაში და ბიუჯეტი ორმაგდება. ამაში „ეპსრ“ არც ერთ თეთრს არ გვაძლევს. ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ წლის ბოლოს, დეკემბერში, საქართველოში ამ ოდენობის ბიუჯეტის მოძიება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ეს თანხა რომც გვეშოვა, იძულებულნი ვიქნებოდით, კვლავ შეგვეცვალა საქართველოს ჩემპიონატის ფორმატი — მეორე წრეში, როდესაც გუნდები იბრძვიან პლეი ოფებში მოსახვედრად და საპრიზო ადგილებისთვის, შეგვექმნა ორკვირიანი სამი ფანჯარა. ამით, პრაქტიკულად, ვანგრევდით ჩემპიონატს და ჩვენს კლუბებს შევუქმნიდით უსერიოზულეს პრობლემებს.

3) „ეპსრმა“ დააფიქსირა, რომ ზამთარგაზაფხულის საკვალიფიკაციო ტურნირზე ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია გამოვიდეთ „თბილისის კავკასიელების“ სახელით, მაგრამ თუ გავიმარჯვებთ, „ჩელენჯზე“ უკვე კლუბის სახით უნდა წავრსდგეთ, ანუ გამოდის, რომ შეჯიბრს იწყებ ერთი გუნდით (თბილისის კავკასიელები) და გამარჯვების შემთხვევაში უფრო მაღალის რანგის შეჯიბრში უნდა წარსდგე უფრო სუსტი გუნდით.

„ეპსრს“ გადაწყვეტილება არის უამრავი პრობლემის შემცველი, დაუფიქრებელი, ჩვენთან პირდაპირი კომუნიკაციისა და შეთანხმების გარეშე მიღებული გადაწყვეტილება. აქვე მინდა დავაფიქსირო, რომ „რაგბი ევროპის“ ყველა მაღალჩინოსანი, ვისაც ეხება და ხელეწიფება ამ საქმეებთან მუშაობა, სრულიად იზიარებს ჩვენს ნეგატიურ პოზიციას და ეს არის ასახული, როგორც პირად საუბრებში, ასევე მათთან ოფიციალურ მიმოწერაში.

ჩვენ რასაკვირველია კონსულტაცია გავიარეთ „მსოფლიო რაგბთან“ (რაგბის საერთაშორისო ფედერაცია) და მათგანაც სრული გაგება და მხარდაჭერა მივიღეთ.

„რაგბის ევროპის“ გენ-ასამბლეაზე შესაბამისი კომიტეტების ხელმძღვანელებთან შევთანხმდით, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ გაიმართებოდა რაგბის კავშირის გამგეობის სხდომა, სადაც საბოლოო გადაწყვეტილება მიიღებოდა, რომელსაც ოფიციალურად შევატყობინებდით „რაგბი ევროპას“. გამგეობის სხდომაზე ერთხმად დაფიქსირდა ჩვენი პოზიცია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო აბსოლუტურად შეუძლებელია ამ შეჯიბრში მონაწილეობის მიღება; დაფიქსირდა ნეგატიური დამოკიდებულება „ეპსრს“ მხრიდან მსგავსი მიდგომების გამო. გამოგეობის გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა, რომ მიუხედავად ჩვენი სურვილისა, სამწუხაროდ, ვერ ვიღებთ 2015 წლის საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობას. ასევე გამოითქვა იმედი, რომ „ეპსრ“ „რაგბი ევროპასთან“ ერთად ბოლოს და ბოლოს ჩამოყალიბდება ამ ტურნირის მკაფიო კონცეფციაზე და ეს გადაწყვეტილება ერთი წლით ადრე მაინც იქნება ცნობილი მონაწილე ქვეყნების რაგბის კავშირებისთვის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გამგეობა იყო გაფართოებული, რომელსაც ესწრებოდა უმაღლესი ლიგის ყველა კლუბის წარმომადგენელი და გადაწყვეტილება იქნა მიღებული ერთხმად. ძალიან სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ეს არის რეალობა, რომელსაც ჩვენ ვერ გავექცევით.

ამის საპირწონედ ერთადერთი, რაც 2015 წელს შეიძლება გაკეთდეს, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მოვახერხეთ სპონსორის მოძებნა და გარკვეული თანხების მოზიდვა, არის უმაღლესი ლიგის კლუბებისთვის აგვისტოში, სეზონის წინა მოსამზადებელ პერიოდში წამყვანი ევროპული ლიგების კლუბებთან ამხანაგური თამაშების ჩატარება ევროპაში ან საქართველოში. თუმცა, აქვე მინდა დავაფიქსირო, რომ ეს არის 2015, მსოფლიო თასის წელი. ყველა თეთრი არის გაწერილი, ყველა თანხა არის მოთხოვნილი და დამატებითი თანხების მოძიება სუპერმძიმე ამოცანა იქნება, თუ, რა თქმა უნდა, კერძო სექტორმა არ გამოიჩინა კეთილი ნება და არ დაგვეხმარა ამ ამოცანის შესრულებაში.

რაც შეეხება 2016 წლის გათამაშებას, გავიმეორებ და ვიტყვი, რომ იმ შემთხვევაში, თუ დროულად იქნება შემოთავაზებული და მოწოდებული მკაფიოდ გასაგები კონცეფცია და კალენდარი, საქართველოს რაგბის კავშირი კვლავ იმსჯელებს ამ საკითხზე და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ბოლოს მინდა თხოვნით მივმართო გულშემატკივრებს, რომ სანამ ინფორმაციას არ ექნება ოფიციალური ხასიათი, ნუ მიიღებენ ზოგიერთ ვებგვერდებზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას, როგორც შემდგარ ფაქტს. შეგახსენებთ, რომ გამგეობის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა და გადაწყვეტილება ოფიციალურად ეცნობა „რაგბი ევროპას“ ორშაბათს, რის შემდეგ ჩვენ გავკეთებთ ოფიციალურ განცხადებას გულშემატკივრებისთვის.

# სტუ და ბათუმი ლიდერის საკითხს ერთმანეთში გაარკვევენ

### პეგასი _ სამტრედია 26:26

**პეგასი:** ცინცაძე; ცხვარაშვილი (5), დიხამინჯია (5), აბჟანდაძე (4), კოხრეიძე (4), გიორგაძე (3), სახვაძე (3), ბაძაღუა (2), ზარნაძე, ნ.მაისურაძე

**სამტრედია:** სამყურაშვილი; ნიკურაძე (7), წითელიშვილი (7), გ.კობახიძე (4), თევზაძე (3), წივწივაძე (3), ხაჟომია (2), ზურაბიანი, სიხარულიძე

საქართველოს ჩემპიონატის მესამე დღეს, ძალიან დაძაბულ მატჩში ფრედ ითამაშეს საქართველოს თასის წლევანდელმა ფინალისტებმა, „პეგასმა“ და „სამტრედიამ“.

თამაშში იყო ყველაფერი, რაც ხელბურთს ამშვენებს — უშეღავათო და თანაბარი ბრძოლა, სადაც ლიდერი ხშირად იცვლებოდა, მეკარეთა ბრწყინვალე თამაში, სწრაფი შეტევები, ძალისმიერი ორთაბრძოლები და ყველაფერი ლამის გააფუჭა ინციდენტმა, რომელიც თამაშს დასრულებამდე სამი წუთით ადრე მოხდა და მსაჯის გადაწყვეტილებას მოჰყვა.

ზოგადად, მსაჯი ყოველთვის მართალია და გადაწყვეტილება არასოდეს იცვლება, მაგრამ ამ შემთხვევაში მიმდინარეობდა პირდაპირი რეპორტაჟი და არსებობს ჩანაწერი, სადაც ჩანს, რომ ალექსანდრე ცხვარაშვილმა ბურთიანად მინიმუმ ოთხი ნაბიჯი გადადგა ისე, რომ მისთვის ხელი არ გაუშვია, თუმცა, წაბორძიკდა და ბურთიანი ხელი იატაკს დაადო, ხოლო კამათი შედგა საკითხზე — იყო თუ არა გარბენი?

პროტესტს მოჰყვა ორი წითელი ბარათი რომლებიც მიიღეს „პეგასის“ მთავარმა და მოთამაშემწვრთნელმა — არადა, ეს უკანასკნელი, გიორგი სახვაძე, იქამდე ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე და გაიტანა უმნიშვნელოვანესი გოლები, ხოლო დაცვაში შესანიშნავად მეურვეობდა მეტოქის ძალიან საშიშ პივოტს, ჯაბა ხაჟომიას.

„პეგასი“ თავიდან 6:3 იგებდა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოსკენ „სამტრედია“ ოთხით გავიდა წინ, ტაიმი კი 17:15 მოიგო. შესვენების შემდეგ თბილისელებმა მალე გაათანაბრეს ანგარიში და, მიუხედავად იმისა, რომ გამოაკლდათ ტრავმირებული გივი გიორგაძე, ბოლომდე იბრძოლეს.

ამის შემდეგ ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან მეორე. გადამწყვეტ მომენტში იყოჩაღა „პეგასის“ მეკარე ზურაბ ცინცაძემ, რომელმაც ზედიზედ ორი შვიდმეტრიანი მოიგერია.

ზემოთ ხსენებული გაძევებების შემდეგ „პეგასმა“ 4 მოთამაშით გაძლო, მეტოქეს ბევრით წინ გასვლის საშუალება არ მისცა და ბოლო წუთზე გიორგი დიხამინჯიამ შვიდმეტრიანით გაათანაბრა ანგარიში — 26:26.

### ქუთაისი _ იმედი 29:20

**ქუთაისი:** ანდრიაძე, კუპატაძე; კბილაშვილი (9), მათნაძე (6), უ.მაისურაძე (5), კვერნაძე (5), ყაველაშვილი (1), ქუთათელაძე (1), მერკვილაძე (1), ჯუღელი (1), ჩიხლაძე, ტუღუში, უ.კობახიძე

**იმედი:** ხარაიშვილი; დანელიშვილი (5), მელაშვილი (4), ზ.იობაშვილი (4), ბაინაზიშვილი (2), ჩიკვილაძე (2), გოგუა (1), ზაალიშვილი (1), მიქავა (1), ბეჟანიშვილი, რუსტამოვი, ჩაკვეტაძე, ფურცელაძე, მღებრიშვილი, კალანდაძე, დვალიძე

### ქარიშხალა _ ბათუმი 26:32

**ქარიშხალა:** ხანდოლიშვილი, დ.მამულაშვილი; ბულბულაშვილი (8), დოლმაზაშვილი (6), გ.ფერაძე (4), არსენაშვილი (4), ლ.მამულაშვილი (3), ზ.ფერაძე (1), კორაშვილი, ქურასბედიანი

**ბათუმი:** ცერცვაძე; სიმონია (6), ამირანაშვილი (5), სურმავა (5), აბრამიშვილი (4), ქარდავა (4), ჯორბენაძე (3), ქავთარაძე (3), გამზარდია (2), ი.ნარსია, ვინოგრადსკი

### ოქროს ვერძი _ სტუ 32:46

**ოქროს ვერძი:** გ.ჭანტურია, ზარგინავა; ალანია (14), მიქაძე (8), ხუნჯუა (3), ნემსაია (3), ბერაია (2), ბიბილეიშვილი (1), დაგარგულია (1), ჟვანია, გოგიშვილი, ბაჯალაძე

**სტუ:** ა.სამიტაშვილი, ხიდეშელი; გრიშიკაშვილი (11), გოგალაძე (11), ჭელიძე (8), სტურუა (7), გოგოლაძე (6), ოსიყმაშვილი (2), მაისაშვილი (1), ორჯონიკიძე, ი.სამიტაშვილი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სტუ | 3 | 3 | 0 | 0 | 115-90 | 6 |
| 2.ბათუმი | 3 | 3 | 0 | 0 | 100-76 | 6 |
| 3.ქუთაისი | 3 | 2 | 0 | 1 | 98-83 | 4 |
| 4.სამტრედია | 3 | 1 | 1 | 1 | 100-93 | 3 |
| 5.პეგასი | 3 | 1 | 1 | 1 | 86-83 | 3 |
| 6.ოქროს ვერძი | 3 | 0 | 1 | 2 | 91-110 | 1 |
| 7.იმედი | 3 | 0 | 1 | 2 | 74-99 | 1 |
| 8.ქარიშხალა | 3 | 0 | 0 | 3 | 87-117 | 0 |

# თამაზ თევზაძე: სპორტის მმართველობის პოლიტიკამ ინდივიდუალურიდან სისტემურ მიდგომაზე უნდა გადაინაცვლოს“

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე, თამაზ თევზაძე, სამინისტროში სპორტული ფედერაციების, ასოციაციების, ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტული მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრის მთავარი თემა იყო შეკითხვა სპორტული საზოგადოების მიმართ — სჭირდება თუ არა ქართულ სპორტს არასამთავრობო ქოლგა-ორგანიზაცია? მინისტრის მოადგილემ საკუთარი ხედვა წარმოადგინა, რომელზეც თავად წლების განმავლობაში მუშაობდა, როგორც ძველი ხელისუფლების, ისევე მოქმედი მმართველი გუნდის შემადგენლობაში, თუმცა რიგი მიზეზების გამო აღნიშნული გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა.

მისი განცხადებით, სპორტის ოლიმპიური და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებულმა არაოლიმპიური სახეობების ფედერაციებმა, ასევე სხვა სპორტულმა ასოციაციებმა და ორგანიზაციებმა საკუთარი ავტონომიურობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნებით, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად უნდა შექმნან „საქართველო ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კომიტეტი“ — სეოსკი, რომელიც იქნება სპორტის მმართველობის და პოლიტიკის გამტარებელი სრუქტურა ქვეყანაში.

თევზაძემ დამსწრეთ საკუთარი მოსაზრებების პრეზენტაცია გააცნო, ასევე ესაუბრა მის მიერ მომზადებული სპორტის კონცეფციისა და სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მნიშვნელობის შესახებ დღევანდელ რეალობაში, ასევე ყურადღება გაამახვილა სამინისტროს ძირითად მიზნებსა და ამოცანებზე სპორტის კუთხით.

მინისტრის მოადგილის რეკომენდაციის თანახმად, ევროპული სპორტის მოდელის და ზოგადად სპორტის ევროპული მოდელის გათვალისწინებით, სპორტის მმართველობის პოლიტიკამ ინდივიდუალური მიდგომებიდან სისტემურ მიდგომაზე უნდა გადაინაცვლოს.

სწორედ ამ კუთხით, თევზაძის განცხადებით, დღევანდელ დღეს მნიშვნელოვანია, ქვეყნის სპორტზე პასუხისმგებელმა ყველა „ქოლგა“ ინსტიტუტებმა, მათ, ვინც განსაზღვრავენ სპორტის პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებს, შეიმუშაონ უფრო აქტიური და კომპლექსური მიდგომა სპორტის საიმედო სამართლებრივი სტატუსის უზრუნველსაყოფად, ასევე ხელი უნდა შეეწყოს არასამთავრობო სპორტულ ორგანიზაციებს და ყველა დაინტერესებულ მხარეს განახორციელონ, გააძლიერონ და მხარი დაუჭირონ იმ ინიციატივებს, რომლებიც სპორტის სწორი მართვის პრინციპებს ემყარება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

თამაზ თევზაძემ შეხვედრაზე დამსწრე სპორტულ საზოგადოებას ასევე მიაწოდა ინფორმაცია სეოსკის სტრუქტურის შესახებ და გასცა რეკომენდაციები და დასაბუთებული არგუმენტები ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ.

ფედერაციების მიერ აღნიშნული წინადადებების განხილვა უახლოეს პერიოდში დაიწყება, მათ გადაეცემათ ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია იმისათვის, რომ დაიწყოს აქტიური მსჯელობა მინისტრის მოადგილის ამ ხედვებისა და რეკომენდაციების შესახებ.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

[illegible]

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, ოთ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38

ქ-ნი მარინა

## რაულ ხაჯიმბა ეკონომიკური სტაგნაციის საბაბით რეპრესიებს გეგმავს

აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას განცხადებით, აფხაზეთში ეკონომიკის არც ერთი სექტორი მინიმალურ დონეზეც კი არ მუშაობს.

მისი განცხადებითვე, ამის გამო ოკუპირებულ აფხაზეთში რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა.

ხაჯიმბას განცხადების შესახებ ინფორმაციას რუსული სააგენტო „იტარ– ტასი“ ავრცელებს.

„მთავრობას ძალიან დიდი ძალისხმევის გაღება უწევს იმისთვის, რომ ბიუჯეტში რაიმე სახის გადასახადი მოხვდეს. ძალიან მწვავედ დგას ენერგო რესურსის მიწოდებისა და კომუნალური მომსახურების საკითხები“, — განაცხადა რაულ ხაჯიმბამ.

მისივე მოსაზრებით, ეს შედეგია იმისა, რომ ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისთვის აფხაზეთში წლებია არაფერი გაკეთებულა.

თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადებითვე, ის პირები, რომლებიც აფხაზეთის ეკონომიკურ სტაგნაციაზე პასუხისმგებლები არიან, აუცილებლად გასამართლდებიან.

ხაჯიმბა იმედოვნებს, რომ ე.წ. ყოვლისმომცველი გეგმა თვითაღიარებული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ხელს შეუწყობს.

გეგმის მიხედვით, 2013-2015 წლებში, რუსეთის ბიუჯეტიდან ოკუპირებულ აფხაზეთს, 1.8 მილიარდი რუბლი გამოეყოფა.

ნიუსპრესი

## შვეიცარიულ ,,მაკდონალდსში“ პორნო აჩვენეს




შვეიცარიის ქალაქ ცუხვილში მდებარე ,,მაკდონალდსის“ რესტორანში, როგორც აღმოჩნდა, დიდ ტელევიზორის ეკრანზე ეროტიკულ ვიდეოს აჩვენებდნენ. ამ ინფორმაციას „ნიუ იორკ პოსტი“ ავრცელებს. ეკრანზე, რომელიც შენობაში იყო განთავსებული, აჩვენებდნენ ღამის შოუს სექსი სპორტს ქლიპსის (სექსუალური სპორტული კლიპები) ფრაგმენტებს, რომლის ჩვენებაც გერმანულ ტელეარხ „სპორტ 1“-ზე ხდება.

როდესაც რესტორნის ერთ-ერთმა კლიენტმა დაწესებულების თანამშრომლებს სხვა არხზე გადართვა სთხოვა, ეს მათ დაუყოვნებლივ გააკეთეს და ინციდენტის გამო ბოდიშიც კი მოუხადეს.

შვეიცარიული ,,მაკდონალდსის“ პრესმდივანმა აგლე შტრახვიტცმა განაცხადა, რომ ზოგჯერ რესტორნების თანამშრომლები სხვადასხვა არხს რთავენ, რათა ამით კლიენტს ასიამოვნონ.

— თუ ჩვენი თანამშრომლები მაშინვე ვერ მიხვდნენ, თუ რა ხდებოდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ყურადღება მთლიანად კლიენტების მომსახურებაზე ჰქონდათ გადატანილი. — განაცხადა შტრახვიტცმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ჩეჩნეთში ტერორისტების“ ნათესავების სახლებს არბევენ

—ყველა, ვინც ბოევიკებს დაეხმარება, დაისჯება! პასუხს აგებენ თვით ბოევიკთა ნათესავებიც კი! მათ ჩეჩნეთიდან გააძევებენ, სახლებს კი დაუნგრევენ!—განაცხადა ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების ლიდერმა რამზან კადიროვმა.

სიტყვას საქმეც მოჰყვა. ჩეჩნეთში დაარბიეს იმ ადამიანთა სახლები, რომელთა ნათესავებიც გროზნოზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ. „ჰიუმან რაიტ ვოტჩმა“ ამ ფაქტს ვანდალიზმი უწოდა:

—ეს ჰიტლერულ სადამსჯელო ოპერაციებს გვაგონებს!—ნათქვამია „ჰიუმან რაიტ ვოტჩის“ განცხადებაში.

## დიმიტრი მედვედევი: რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა მართლაც დიდი ზარალი მოგვაყენა!“



რუსეთის პრემიერმა, მედვედევმა, თავის ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ სანქციებმა რუსეთს კოლოსალური ზანი მიაყენა. მანეთი დაეცა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ნიშნული ნულამდე დაეშვა, თუმცა მედვედევმა ისიც აღნიშნა, რომ სანქციები ევროპასაც ზიანს აყენებს:

——მხოლოდ გერმანიამ 289 მილიარდი ევროს ზარალი განიცადა,—თქვა რუსეთის პრემიერმა.

მედვედევმა დასავლეთს დიალოგისაკენ მოუწოდა და გამოთქვა რწმენა, რომ სანქციები აუცილებლად გაუქმდება.

## გარდაიცვალა რალფ ჯორდანო



ჰამბურგში 91 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი გერმანელი მწერალი და პუბლიცისტი რალფ ჯორდანო. მისი საუკეთესო რომანი „ბერტინის ოჯახი“ ტრიუმფით იქნა ეკრანიზებული. ჯორდანოს ნაწარმოებები 188 ენაზეა თარგმნილი.

ჯორდანო ცნობილი იყო თავისი მკვეთრი ანტიტოტალიტარული და ანტიკაპიტალისტური შეხედულებებით. ის აქტიურად გამოდიოდა მემარჯვენე რადიკალიზმის წინააღმდეგ.

## ყირიმელ თათართა აქცია ანკარაში

თურქეთის დედაქალაქში ყირიმელ თათართა აქცია ჩატარდა. მანიფესტანტები რუსეთის მიერ ნახევარკუნძულის ანექსიას აპროტესტებდნენ და თურქეთის ხელისუფლებისაგან ქმედითი ზომების მიღებას მოითხოვდნენ:



—თურქეთი მოვალეა, ერთმორწმუნე ძმებს დაეხმაროს,—აცხადებდნენ ისინი.

მანიფესტანტებს მოჰქონდათ ყირიმელი აქტივისტის ახმატოვის პორტრეტები. ახმატოვი ყირიმის ანექსიას აპროტესტებდა და ამის გამო რუსმა ოკუპანტებმა მოკლეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კეიპთაუნი ტურისტების საყვარელი ქალაქია



სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი კეიპთაუნი 2014 წელს ტურისტების ყველაზე საყვარელი ქალაქების რეიტინგში პირველ ადგილზე აღმოჩნდა. აღნიშნული რეიტინგი ბრიტანულმა გამოცემა „დეილი ტელეგრაფმა“ ვებგვერდზე მკითხველების ონლაინ გამოკითხვის გზით შეადგინა. ლიდერთა სამეულში მოხვდნენ კანადის ქალაქი ვანკუვერი და იტალიის ქალაქი ვენეცია.

მოგზაურებისთვის ყველაზე საყვარელი ქალაქების ტოპათეული ასე გამოიყურება: 1. კეიპთაუნი (სარ); 2. ვანკუვერი (კანადა); 3. ვენეცია (იტალია); 4. სიდნეი (ავსტრალია); 5. სან-ფრანცისკო (აშშ); 6. ნიუ იორკი (აშშ); 7. ტოკიო (იაპონია); 8. რიო-დე-ჟანეირო (ბრაზილია) 9. ფლორენცია (იტალია); 10. რომი (იტალია).

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ამერიკელი მოზარდი მასწავლებელს ნარკოტიკიანი ნამცხვრით გაუმასპინძლდა

ამერიკის შტატ მერილენდში მოზარდს წაუყენეს ბრალდება მას შემდეგ, რაც ის თავის მასწავლებელს ნარკოტიკიანი ნამცხვრით გაუმასპინძლდა. საოლქო პოლიციაზე დაყრდნობით ამ ინფორმაციას „ასოშეიტედ პრესი“ ავრცელებს.

აღნიშნული ინციდენტი ანაპოლისში ორშაბათს მოხდა. მასწავლებელმა შენიშნა, რომ 17 წლის მოსწავლე კლასში ნამცხვარს ჭამდა და სთხოვა, მისთვისაც ეწილადებინა. მოზარდმა მას ნამცხვრის ნაჭერი მისცა და არ გააფრთხილა, რომ ის საშიშ ნივთიერებას შეიცავდა, მისი მირთმევის შემდეგ მასწავლებელმა თავი ცუდად იგრძნო.

მასწავლებელი დეზორიენტაციის შეტევით სამედიცინო კაბინეტში გადაიყვანეს. მისი აზრით, ნამცხვარი მარიხუანას შეიცავდა. ამ ინციდენტის შემდეგ დაზარალებულმა პოლიციას მიმართა.

იუსტიციის ორგანოებმა, რომლებიც არასრულწლოვანებთან მიმართებით საქმეებს აწარმოებენ, მოსწავლეს, რომლის ვინაობა არ სახელდება, ადამიანის საშიში ნივთიერებით მოწამვლის, სხეულის განზრახ დაზიანებისა და დანაშაულებრივი გულგრილობის ბრალდება წაუყენეს. მოზარდი მეთვალყურის თავდებობით გაათავისუფლეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

## ჩემპიონთა ლიგაზე ყველა მერვედფინალისტი ცნობილია

### ე ჯგუფი

**რომა-სიტი 0:2**

0:1 ნასრი (60), 0:2 საბალეტა (86)

რომაელებს უგოლო ფრეც აწყობდათ და თამაშიც ამაზე ააწყვეს. როგორც გამოჩნდა, სწორედ აქ დაუშვეს შეცდომა. მასპინძლებმა ერთი საათი გაძლეს, შემდეგ კი სამირ ნასრის საჯარიმოს გარედან დარტყმის საშუალება მისცეს და მანაც ეს შანსი შესანიშნავად გამოიყენა — ბურთი ძელიდან ასხლეტით აღმოჩნდა რომაელთა კარში.

„რომას“ უკვე აუცილებლად მოგება სჭირდებოდა, მაგრამ იტალიელებმა, 86-ე წუთზე, კიდევ ერთი ბურთი გაუშვეს, ამჯერად საბალეტასგან და ევროპის ლიგაზე გადაინაცვლეს.

**ბაიერნი _ ცსკა 3:0**

1:0 მიულერი (18), 2:0 როდე (84), 3:0 გიოტცე (90)

გერმანელები უდავო ფავორიტები არიან, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასვლა ადრიანად ჰქონდათ გადაწყვეტილი, ამიტომაც, შესაძლო იყო, როტაციისთვის მიემართათ, თუმცა, „ბაიერნმა“ ფეარ პლეის წესები დაიცვა და ცსკას შანსი არ დაუტოვა, შემდეგ ეტაპზე, ანაც ევროპალიგაზე გადაენაცვლა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 6 | 5 | 0 | 1 | 16:4 | 15 |
| 2.სიტი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| 3.რომა | 6 | 1 | 2 | 3 | 8:14 | 5 |
| 4.ცსკა | 6 | 1 | 2 | 3 | 6:13 | 5 |

### ფ ჯგუფი

**ბარსელონა-პსჟ 3:1**

0:1 იბრაჰიმოვიჩი (15), 1:1 მესი (19), 2:1 ნეიმარი (41), 3:1 სუარესი (77).

სანახაობრივი გამოდგა „კამპ ნოუზე“ გამართული მატჩში. ანგარიში ზლატან იბრაჰიმოვიჩმა გახსნა, რასაც მალევე ლიონელ მესის გოლი მოჰყვა. ეს ევროტურნირებზე არგენტინელის 76 გოლი გამოდგა და ის რეკორდსმენ რაულს გაუთანაბრდა.

„ბარსა“ პირველივე ტაიმში მოახერხა დაწინაურება — 42-ე წუთზე სირიგუ ნეიმარმა დაამწუხრა. მე-2 ტაიმში თავი ლუის სუარესმაც გამოიჩინა, რომელმაც „კამპ ნოუზე“ სადებიუტო გოლი გაიტანა.

**აიაქსი-აპოელ 4:0**

1:0, 2:0 შონე (45, 50), 3:0 კლაასენი (53), 4:0 მილიკი (74)

ამსტერდამელებმა მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვეს და აგრძნობინეს, რომ მათი ადგილი ევროპის ლიგაზეც არ არის.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 6 | 5 | 0 | 1 | 15:5 | 15 |
| 2.პსჟ | 6 | 4 | 1 | 1 | 10:7 | 13 |
| 3.აიაქსი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:10 | 5 |
| 4.აპოელი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:12 | 1 |

### ჯ ჯგუფი

**მარიბორი-შალკე 0:1**

0:1 მაიერი (62)

მერვედფინალში გასასვლელად „შალკეს“ „მარიბორთან“ მოგება კი სჭირდებოდა, მაგრამ პარალელურად „სპორტინგსაც“ უნდა წაეგო „ჩელსისთან“.

გელზენკირხენულებმა თავიანთი ამოცანა გადაჭრეს — „შალკეს“ მომდევნო ეტაპის საგზური მაქს მაიერმა მოუტანა, რომელმაც შეხვედრის ერთადერთი გოლი 62-ე წუთზე, მოედანზე შესვლიდან 6 წუთში გაიტანა.

**ჩელსი-სპორტინგი 3:1**

1:0 ფაბრეგასი (83), 2:0 შიურლე (16), 2:1 სილვა (50), 3:1 მიკელი (56)

„ჩელსიც“ არ „ბაიერნივით“ მოიქცა და ბოლომდე ითამაშა, რითიც „შალკეს“ სამართლიანად დაეხმარა მერვედფინალში გასვლაში.

„ჩელსიმ“ ანგარიში ფაბრეგასის პენალტით გახსნა, რასაც შურლეს გოლი მოჰყვა. „სპორტინგმა გაიბრძოლა — სილვამ ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მაგრამ ჯონ ობი მიკელიმ ყველაფერი ისევ თავის ადგილზე დააყენა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 6 | 4 | 2 | 0 | 17:3 | 14 |
| 2.შალკე | 6 | 2 | 2 | 2 | 9:14 | 8 |
| 3.სპორტინგი | 6 | 2 | 1 | 3 | 12:12 | 7 |
| 4.მარიბორი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:13 | 3 |

### ჰ ჯგუფი

**პორტუ-შახტარი 1:1**

0:1 სტეპანენკო (50), 1:1 აბუბაკარი (87)

ორივე გუნდი შემდეგ ეტაპზე იყო, ამიტომაც ფრე ორივესთვის მისაღები შედეგი იყო. ანგარიში დონეცკელებმა გახსნეს, მაგრამ აბუბაქარმა მატჩის ბოლოს ულამაზესი გოლი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა.

**ბილბაო-ბატე 2:0**

1:0 სან ხოსე (47), 2:0 სუსაეტა (88)

ბატემ ჩემპიონთა ლიგის ანტირეკორდი დაამყარა — ბორისოვული გუნდი პირველია, რომელმაც ერთ გათამაშებაში 22 გოლზე მეტი გაუშვა ჯგუფური ეტაპის 6 მატჩში, ბელარუსებმა მეტოქეებს 24-ჯერ გაატანინეს.

აქედან ანტისარეკორდო 2 გოლი ბოლო შეხვედრაზე მოდის. „ბილბაომ“ კი, რომელმაც გათამაშება ცუდად დაიწყო, ზედიზედ 2 მატჩი მოიგო და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 6 | 4 | 2 | 0 | 16:4 | 14 |
| 2.შახტარი | 6 | 2 | 3 | 1 | 15:4 | 9 |
| 3.ბილბაო | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 7 |
| 4.ბატე | 6 | 1 | 0 | 5 | 2:24 | 3 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა



## h3xცeჯ3ლბ ,

**შვეულად:** 1. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 2. სასუნთქი თამბაქო; 3. ქალაქი ესპანეთში, სადაც იმართება კორიდის სეზონის გახსნის საზეიმო ცერემონიალი; 4. ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი; 8. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 9. მცირეწლოვანი ბავშვის შვილად აყვანა; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და „რეალის“ ფეხბურთელი; 12. მომღერალთა გუნდის ძველი სახელწოდება; 14. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში; 16. მომავალი მუშაობის, მოღვაწეობის გეგმა; 17. უმაღლესი მწვერვალი ალპებში; 19. ერთ-ერთი უზენაესი ღვთაება ინდუიზმში; 21. ცალკეული სცენების, ნომრებისგან შედგენილი საესტრადო-თეატრალური წარმოდგენა.

**თარაზულად:** 5. იაპონური მოტოციკლეტი; 6. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 7. დიდი შხამიანი ობობა; 10. მადნის, ქვიშის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 13. ცხარე საწებელა; 15. ნაყინის დასამზადებელი აპარატი; 18. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი; 20. ფრანგული კოსმოსური ხომალდების სერია; 22. ჰოლანდიური ლუდი; 23. ადამიანის, ცხოველის ჩანასახი; 24. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

**ობყფ ყჯვტ3იბ ეფვჯმლტ.ყტ,ეჯბ h3xცeჯ3ლტ,ბც გფცეlტ,ბ5**

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბაჩანა; 2. ივლისი; 3. რიეკა; 5. ბონი; 6. ქართლი; 8. „კიანტი“; 11. „რქაწითელი“; 13. ვაუჩერი; 14. „მერიოტი“; 15. „ჰამლეტი“; 19. პაბი.

**თარაზულად:** 1. „ბუდვაიზერი“; 4. თამბაქო; 7. „ჩაკრულო“; 9. კალიბრი; 10. ირისი; 12. კინტრიში; 16. დისკუსია; 17. მუხიანი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლორნეტი; 21. ფიცი; 22. სერფინგი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. „მეტელი“; 2. გრეგორი; 3. ნატამალი; 4. ერისტიკა; 8. ბურჭულაძე; 9. მარმელადი; 11. სპეტაკი; 12. გეტა; 14. არვე; 16. „სიტროენი“; 19. „ჯამილე“; 21. რისკი.

**თარაზულად:** 5. გასტრიტი; 6. „მესაჯერო“; 7. პოლიგლოტი; 10. ბახუსი; 13. „დარიკო“; 15. სტატორი; 18. სირაჯი; 20. ნადალი; 22. ეჩმიაძინი; 23. ენდშპილი; 24. ეკვადორი.

# მეტროპოლიტენ ოპერის დასის მენეჯერი თბილისში ჩამოვიდა

ეკა ირემაშვილი

მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი საოპერო თეატრის მეტროპოლიტენ ოპერის დასის მენეჯერი სტივენ ბრაუნი თბილისში ჩამოვიდა. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაფინანსებით, ცნობილი მენეჯერი საგანგებოდ ესტუმრა თბილისს, რათა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ადმინისტრაციული კუთხით საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს და კონსულტაციები გაუწიოს.

ოპერისა და ბალეტის თეატრში უკვე მიმდინარეობს რეორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ადამიანური რესურსების მართვის, განვითარებისა და მარკეტინგის დეპარტამენტები. საკუთარ უმდიდრეს ტრადიციებზე დაყრდნობითა და მსოფლიო მასშტაბის საოპერო თეატრის გამოცდილების გათვალისწინებით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი დაიმკვიდრებს ერთ-ერთი მნიშვნელოვან ადგილს მსოფლიოს წამყვან საოპერო თეატრებს შორის.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ მეტროპოლიტენ ოპერის დასის მენეჯერს, სტივენ ბრაუნსა და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს დავით კინწურაშვილს, ოპერის სხვა თანამშრომლებთან ერთად უმასპინძლა.

# გიგლა ბარამიძე ნარმანიას: თბილისის ქუჩები თქვენი სოფლის ჭალები არ არის, ქალაქს მიხედეთ“



პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური მდივნის, გიგლა ბარამიძის განცხადებით, თბილისის მერი დავით ნარმანია და მისი გუნდი, ყოფილი მერის, გიგი უგულავას საქმიანობის კრიტიკით იყო დაკავებული, თუმცა დღეს ქალაქში სხვადასხვა სახის სამუშაოებს სწორედ უგულავას კომპანიები ახორციელებენ.

„ჩვენი დღევანდელი მერი ხელს თავისი წინამორბედისკენ იშვერდა, თუმცა ახალი ხელისუფლების პირობებში ტენდერი ისევ „გრინსერვისმა“ მოიგო. „სინათლის ქალაქმა“ კი, რომელიც საახალწლო განათებებით იყო დაკავებული, ისევ გაიმარჯვა და დღევანდელმა მერმა 575 967ლარი ჩაურიცხა.

რაღას ვერჩოდით, თქვე დალოცვილებო იმ უგულავას, თუ თქვენ უარესს გააკეთებდით?! მინდა, მივმართო თბილისი მერს, დიდ პატივს ვცემ თქვენს სოფელს — კოკს, მაგრამ თბილისის ქუჩები და მაგისტრალები თქვენი სოფლის ჭალები არ არის და ქალაქს მიხედეთ „, — განაცხადა ბარამიძემ.

ნიუსპრესი

# ირაკლი ღარიბაშვილისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრის შეხვედრა გაიმართა



საქართველოსა და სომხეთის მეგობრული ურთიერთობები, ორ ქვეყანას შორის მოქმედი სავაჭრო რეჟიმის შენარჩუნება და ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება იყო ძირითადი თემები, რომელზეც საქართველოსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრებმა გუშინ პირისპირ შეხვედრისას იმსჯელეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ჰოვიკ აბრაჰამიანს მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

მთავრობის პრესსამსახურის ცნობით, მხარეებმა ასევე განიხილეს კულტურის სფეროში მიმდინარე თანამშრომლობა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

□ჩვენ, როგორც ორ მეგობარ ქვეყანას, გვამოძრავებს ურყევი ნება და მისწრაფება, გავაგრძელოთ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ□, — განაცხადა შეხვედრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

მედიანიუსი

## ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

ლია გიგაური, ჩატუ გიგინეიშვილი, მალვინა შათირიშვილი, ნალინა ძაგანია, ბელა კიკვაძე, მაკა ჩხეიძე, ნანა ჩიტაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სულიკო წულუკიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილი ნათელა სახოკია, შვილიშვილები ირაკლი რუხაძე, გიორგი და ლევან გიგინეიშვილები, სიძეები ოთარ რუხაძე, ლერი გიგინეიშვილი, რძლები ნატალია რუხაძე, თამარ კოპალიანი, ირმა იმნაძე, დისშვილი მარინე ფაღავა, ძმისშვილი ირაკლი სასანია, სიძე თამაზ წერეთელი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ელენე გვათუა**

პანაშვიდი: 11, 12 დეკემბერს.
დაკრძალვა: 13 დეკემბერს, 14 საათზე.
მისამართი: პეკინის ქ.№2.

**ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბჰბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

# პანჩო ციხეში დააბრუნეს

ეკა ირემაშვილი



ხანმოკლე პაუზის შემდეგ, მომღერალი პანჩო კვლავ ციხეში აღმოჩნდა. წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ამჯერად ის არც დაუპატიმრებიათ და არც თავისუფლების აღკვეთა მიუსჯიათ.

მომღერლის ციხეში შეყვანის ინიციატორი პრობაციის ეროვნული სააგენტო გახდა. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში პანჩო და მისი მეგობარი გია ნიკოლაძე, „ნიკოლშოუს“ ერთ-ერთი წევრი მიიწვიეს, სადაც მათ თავისუფლებაშეზღუდულთათვის კონცერტი გამართეს. გია ნიკოლაძემ პატიმრებს თავისი ახალი პოემიდან ნაწყვეტები წაუკითხა, პანჩომ კი მათ თავისი ჰიტები უმღერა.

„მაგისთვის ვართ გაჩენილი ამქვეყანაზე, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ. ზოგჯერ გვიჭირს, ზოგჯერ არა. ვისაც უჭირს იმას უნდა დავეხმაროთ სულიერად და გვერდში დავუდგეთ. ეგრევე ჩავალაგეთ გიტარები, მე პოემაც ჩავდე და გამოვიქეცით აქ, რომ ჩვენი ძმები გვენახა და გაგვემხნევებინა,“ — განაცხადა გია ნიკოლაძემ.

პანჩო ციხეში რამდენიმე წლის წინ მოხვდა. ამის მიზეზი მარიხუანას მოხმარება გახდა. მომღერალმა სასჯელი გლდანის მერვე დაწესებულებაში მოიხადა. მომღერალი არ მალავს, რომ ცუდი ყოფაქცევისთვის დაისაჯა და ამისთვის ერთი წლით ციხეში ჩასვეს:

„გლდანის მერვე დაწესებულებაში საკუთარი „ცოცხით“ მივედი. დაწესებულება საკონცენტრაციო ბანაკივით იყო. ციხეში ნამყოფი ვიყავი, პატიმრებს კონცერტებს ვუტარებდით ხოლმე... შესვლისას ოფიცერს ვუთხარი, სადამოს გიტარას მომიტანენ და შემოატანინე-მეთქი. გაკვირვებულმა შემომხედა, -თუ იცი, საერთოდ სად მოხვდიო?! გიტარა კი არა, ჩაი და ყავა არ გვქონდა, რომ დაგველია... რადიო იყო ისეთი, ყური უნდა მიგედო, რამე რომ მოგესმინა... სხვა საქმე რომ არაფერი მქონდა, ციხის უფროსის სახელზე წერილებს ვწერდი, გიტარა შემოატანინეთ-მეთქი, რითაც ვხალისობდი. არადა, პატიმრები ისეთ სტრესში იყვნენ, ღამეებს ათენებდნენ. ღამით ბევრს კამერაში უცვივდებოდნენ, სცემდნენ. იმ მწვალებლების გუნდში ნორმალური ოფიცრებიც იყვნენ, გამიმართლა, რადგან მათთან მოვხვდი. მთელ ციხეში გამეფებული სისასტიკე საშინლად გვთრგუნავდა.“

# სალომე ბაკურაძე ერთი ერთშის“ ლიდერია

ეკა ირემაშვილი



მომღერალი სალომე ბაკურაძე მუსიკალური პროექტის „ერთი ერთში“ მორიგ ტურში ლიდერი გახდა. მან არც ამ საკონკურსო ტურში დაუთმო პირველობა არავის და წამყვანი პოზიცია მყარად შეინარჩუნა. მის მიერ განსახიერებულმა მისი ელიოტმა მეოთხე ლაივ კონცერტზე ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურა.

მეოთხე კონცერტი რუსკა მაყაშვილს მარტოს მიჰყავდა. მისი თანაწამყვანი კახა კინწურაშვილი გასტროლებზე იმყოფება ჩინეთში. ჟიურის სამ მუდმივ წევრს ნიკუშა შენგელაიას, სისი სამს და ზაკ რისს მეოთხე მიწვეული სტუმარი მსახიობი გოგა ბარბაქაძე დაემატა და მანაც თავისი ქულები შოუს ბოლოს კონკურსანტებზე გადაანაწილა.

ეს ლაივი წარმატებული სალომე ბაკურაძისთვის აღმოჩნდა. მის მიერ განსახიერებული მისი ელიოტი ჟიურის ოთხივე წევრმა მოიწონა და უმაღლესი 12 ქულა დაუწერა. უმაღლესი ქულა მიიღო სალომემ მაყურებლისგანაც და ამ ლაივის ლიდერი გახდა 65 ქულით. სალომე ბაკურაძე მთლიანობაშიც ლიდერია. ოთხი ლაივის შედეგებით მას სულ 225 ქულა დაუგროვდა.

შოუს დასასრულს კონკურსანტებმა ლოტოტრონთან გადაინაცვლეს, სადაც მათ შეიტყვეს იმ მსოფლიო ვარსკვლავების ვინაობა, რომელთა განსახიერებაც მომავალ ოთხშაბათს მოუწევთ. გიორგი სუხიტაშვილს ტინა ტერნერი შეხვდა, გოგა მესხს მაიკლ ბოლტონი, ლიზა ყენიას სელენა გომესი, თემო საჯაიას სტივენ ტაილერი, ზურა ჯავახიას მამუკა ჩარკვიანი, ნუკა კვალიაშვილს ქრისტინა აგილერა, ნინი წიკლაურს ნელი ფურტადო, სალომე ბაკურაძეს კი ნატალი იმბრუგლია.

# ზურა გორგაძე გოჩა ჩერტკოევის წინააღმდეგ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბინება, კომენტარი და სიყვარულია! რაც შეეხება სამშაბათ დღეს, მე ბოდიშს ვიხდი იმისთვის, რომ თქვენი მოლოდინი ბოლომდე ვერ გავამართლე, თუმცა ბოდიში მხოლოდ ერთმა ადამიანმა უნდა მოიხადოს ჩემს და თქვენს, საზოგადოების წინაშე. გუშინ ერთმა სუბიექტმა, სახელად გოჩამ, არამარტო მე, არამედ საზოგადოება ფეხებზე დაიკიდა, ციტირება მისი სიტყვების: „ეს მოსწონს საზოგადოებას, ხალხს ეს არის მაგარი შოუ, ბრავო“, მაგრამ არ მოსწონდა თავად, ვერ მოინელა სალომე ჭაჭუა, ვერ მოინელა დიმა, საშა და ალიონა, ჩვენი არაჩვეულებრივი ქორეოგრაფები, რომლებიც თან გვყვებოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ პროექტის და მონაწილეების წარმატებისთვის. ვერ მოინელა მათი კეთილგანწყობა ჩემსა და სალომეს მიმართ, რომლებიც მაინც განაგრძობდნენ ჩვენს დახმარებას. ვერ მოინელა პირდაპირ ეთერში მადლობა ჩემგან, დიმას, საშას და ალიონას მიმართ, რომლებსაც პროექტი უკვე დატოვებული ჰქონდათ, უფრო სწორად პროექტი დაატოვებინეს, არა დაატოვებინა გოჩამ, ისევე როგორც მე. პროექტი გოჩამ დამატოვებინა და არა საზოგადოებამ. მხოლოდ ეს მამშვიდებს და ამავდროულად ძალიან მაღიზიანებს. მათ ვისაც ჰგონია, რომ მხოლოდ ესემესები წყვეტს, გეტყვით, რომ ასე არაა, ჟიურის დაბალმა ქულამ შესაძლებელია პროექტი დაგატოვებინოს, რამდენი ესემესიც არ უნდა გქონდეს, რაც მოხდა სამშაბათს. გოჩა! თუ შენი შეფასება სამართლიანი იყო, რატომ დაგჭირდა ლაივის დასრულებისთანავე გაძლიერებული დაცვა და უკანა კარიდან ჩუმად გაპარვა ისე, რომ ვერავინ თვალი ვერ მოგკრა, როგორ აორთქლდი, შეგეშინდა? რის შეგეშინდა, ხელით მაინც არავინ შეგეხებოდა, რადგან მორიგ სიამოვნებას ჩემი, ან ჩემი ახლობლების ციხეში ჯდომით ვეღარ მოგანიჭებდი. ერთ-ორ სალანძღავ სიტყვას კი ნამდვილად მიიღებდი, რაც ისედაც არ გაკლია, ნახევარი საქართველო იგივეს აკეთებს. ეს შესაძლებლობა ჯერ კიდევ ლაივში მქონდა, რაც ნამდვილად გეკუთვნოდა, მაგრამ არ ვაკადრე საზოგადოებას და ტელეკომპანია იმედს და კიდევ მივმართავ ადამიანებს, რომლებმაც ბოროტად იცრუეს და გაავრცელეს ინფორმაცია, რომ თითქოს მე ძალიან შეძლებული ოჯახიდან ვარ, თითქოს უამრავი ფული მაქვს და უამრავი ნომერი მქონდა ნაყიდი, რომლებზეც დიდი თანხა მედო და ვერავინ გამაგდებდა პროექტიდან. ამ ცრუ ინფორმაციამ გოჩაც კიდევ უფრო აღაგზნო და მანაც არ დააყოვნა... პასუხი: მე ვარ ზურა გორგაძე, დავიბადე და გავიზარდე ზესტაფონის რაიონში, სკოლაც იქ დავამთავრე, მშობლები უმაღლესი განათლებით თავს ზესტაფონის ბაზარში ვაჭრობით ირჩენენ, მე ჩემს ძმასთან, ძმისშვილთან და რძალთან ერთად ვცხოვრობ თბილისში, ნაქირავებ ბინაში, ამიტომაც ამ პროექტში წარმატება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის და სხვა უამრავი რამ... ვმუშაობ ძალიან ბევრგან და 16 წლიდან ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ მხოლოდ საკუთარი პატიოსანი შრომით, რამეს მივაღწიო და ასეც გავაგრძელებ. რატომ არ გავაჟღერე ეს ყველაფერი პროექტის მსვლელობისას? იმიტომ, რომ თავის შეცოდებებს სხვისას ვერ ვიტან, იმიტომ, რომ არ მინდოდა და არასოდეს მენდომება პროვოცირება გავაკეთო ოჯახურ მდგომარეობაზე და რაღაც სენტიმენტებზე, რაც ყველას ცხოვრებაში ისედაც არსებობს, ეს ყველაფერი პროექტთან არაფერ შუაში იქნებოდა, აქ კი დავწერ ჩემს გვერდზე იმიტომ რომ ეს ჩემი რეალობაა, ჩემი რეალობაა ისიც, რომ დღეს მე უამრავი ადამიანისგან დიდ სიყვარულს ვგრძნობ, რაც ჩემთვის მანქანაზეც და ბინაზეც მნიშვნელოვანია! დარჩენილ ყველა მონაწილეს წარმატებას ვუსურვებ, ძალიან მიყვარხართ!“

## TV პროგრამა

პარასკევი
12 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 01.40 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. ""**დღეები ლეონესთან ერთად**" 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ფრანგული სოფელი**" 17.00 სოციალური თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 18.30 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ 23.30 მხ/ფ "**მიწისძვრა**"

08.00, 10.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა (პ/ტ) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა. 10.05 სერ."**სიცოცხლის სიყვარული**" 11.20 სერ. "**სილა**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ."**უდანაშაულო**" 17.35 სერ."**ბოშა ქალი**" 9 სერ. 18.45, 19.03 სერ."**ღირსების საქმე**" 20.55 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 22.00 რეაქცია 00.00 მხ/ფ "**ერთი დღე**" (ჯ.სტერჯესი) 02.10 მხ/ფ "**ოსტატი**" (ფ. ს.ჰოფმანი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ბედთან მებრძოლი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 ბრავო 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი? დაიჯესტი

07.30 GDS დილა 10.00 9 კარი 10.45, 16.15 მინიპედია 11.00, 18.00 **სერ.** "**მენტალისტი**". 12.00 შუადღე GDS-ზე 14.00 საუკეთესო ტორტი 15.00, 21.00 პანიკის გარეშე 16.30 სტილის სამყარო 17.00 დ/ფ 19.00 კინოვაცია 20.00 მონუმენტური ხედვა 20.30 URBAN STORIES 21.55 მხ/ფ 23.30 9 კარი 00.15 მხ/ფ

06.10 საგალობელი 06.15 მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" IV სერ. 07.45 ღვთის სახლი (აფხაზეთი) 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მწვანე არქიტექტურა 10.05 ღვთის სახლი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 14.00 მოკ./ფ "**კაცები**" 13.30 კონცერტი -ახალგაზრდული ორკესტრი ლევ მარკიზის დირიჟორობით 15.05 სახლი ღვთისა (აფხაზეთი) 15.30 მხ/ფ "**ნერგები**" 17.00 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**თემო**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "წმინდა დიდმოწამე აბიბოს ნეკრესელი" 23.35 დ/ფ "ქვათახევის მონასტერი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**მოხუცი და ზღვა**"

**მაესტრო**

7.00, 1.30, ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "**დრაკონებზე მონადირე**" 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი** "**არასდროს დაგივიწყებ**" 11.50 ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნეს კონტაქტი 13.30 **სერიალი** "**კარმა**" 14.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 15.35 გადაცემა "ID" 16.00 **სერიალი** "**სიყვარულის იმპერია**" 17.40, 22.00, 1.55 "ყოველდღიური ა(მ)ბები ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 **სერიალი** "**სხვისი სხეული**" 21.00 მაესტროს "ცხრიანი" (საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე 22.15 **სერიალი** "**ქუჩეი და გუნეი**" 23.25 ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) 23.30, 3.25 **სერიალი** "**მდუმარენი**" 2.15 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.35 სამედიცინო გადაცემა "პულსი"

გჰჯუჰფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯჰფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.8918

ევრო — 2.3419

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9633

100 რუსული რუბლი — 3.4897

## ამინდის პროგნოზი 12 დეკემბრისთვის




# 16 დეკემბრიდან!

## ახალ თაობასთან“ ერთად

# რჯული ქრისტესი. შობა. წიგნი I






## კალეიდოსკოპი

### ამერიკელ მსახიობს კურდღლის მკვლელობა ბრალდება



— აშშ-ში მსახიობ დიმიტრი დიაჩენკოს ბრალი წაუყენეს თავისი ყოფილი მეგობარი გოგონას კუთვნილი კურდღლის მკვლელობასა და მის წინააღმდეგ განხორციელებულ მუქარაში. — იტყობინება „ასოშეიტედ პრესი“.

— ინციდენტი ლოს-ანჯელესში მოხდა მას შემდეგ, რაც გოგონამ მსახიობს განუცხადა, რომ მასთან ცხოვრება აღარ სურს. 46 წლის მსახიობმა კურდღელი დაკლა, საჭმელი მოამზადა და ნახევარი შეჭამა, ამასთან, თავის ყოველ მოქმედებას იღებდა და ფოტოსურათს გოგონას უგზავნიდა. — ნათქვამია საოლქო პროკურორის განცხადებაში. როდესაც გოგონა სახლში დაბრუნდა, მსახიობი მას დაემუქრა, რომ მასაც იგივე ბედი ელოდა, რაც კურდღელს.

დიაჩენკოს ბრალი აქვს წაყენებული ცხოველის მიმართ სასტიკ მოპყრობასა და ჯანმრთელობისთვის მძიმე დაზიანების მიყენებაში. თუ მისი დანაშაული დამტკიცდა, მსახიობს ოთხი წლითა და რვა თვით პატიმრობა ელის.

დიაჩენკოს, რომელიც სან-ფრანცისკოში დაიბადა, მცირე როლი აქვს შესრულებული ფილმში ,,ინდიანა ჯონსი და ბროლის თავის ქალის სამეფო“, ასევე მრავალი როლი აქვს შესრულებული ტელეფილმებში და გახმოვანებული აქვს კომპიუტერული თამაში.

### ბრიტანელებმა ოქროს ველოსიპედი დაამზადეს



ბრიტანულმა კომპანიამ დაამზადა ველოსიპედი, რომელიც მთლიანად 24- კარატიანი ოქროთია დაფარული. ამ ინფორმაციას ფირმის ვებგვერდი ავრცელებს. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება მამაკაცებისთვის განკუთვნილი სარბოლო ველოსიპედის ბაზაზეა დამზადებული. ყველაზე ძვირადღირებული ოქროს ველოსიპედის ფასმა 250 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

ოქროთია დაფარული მისი ყველა ნაწილი, მათ შორის ჯაჭვის ყოველი რგოლი. სკამზე გადაჭიმულია რბილი ზამშის ნაჭერი, სან-მარკოს შეზღუდული სერიიდან, ველოსიპედი დამშვენებულია ბრილიანტებით. მყიდველს ასევე შეუძლია, დამატებით შეუკვეთოს საჭისა და სავარძლის გაფორმება ტყავით ან ძვირფასი ქვებით.

ოქროს ველოსიპედის შემქმნელი ბრიტანული კომპანია ექსკლუზიური ოქროთი და ძვირფასი ქვებით დამშვენებული საჩუქრების დამზადებაზეა სპეციალიზებული. ფირმის პროდუქციებს შორისაა ყვავილების ფორმის ოქროს გულსაბნევები, ქანდაკებები და მობილური ტელეფონები, რომლებიც ძვირფასი ლითონითაა დაფარული.

აღნიშნული ოქროს ველოსიპედი პირველ მსგავს სატრანსპორტო საშუალებას არ წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ძვირფასი ლითონით დაფარული ველოსიპედების ფასი რამდენიმე ათას დოლარს არ აღემატება. 2009 წელს შვედურმა კომპანია აურუმანიამ 10 ველოსიპედი დაამზადა, რომლებიც ოქროთი იყო დაფარული და 600 სვაროვსკის კრისტალით დამშვენებული. ყოველი ველოსიპედის ფასი დაახლოებით 90 ათას დოლარს შეადგენდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მარიამ როინიშვილი ტრავმირებულია

ეკა ირემაშვილი



მომღერალი მარიამ როინიშვილი, რომელიც „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეხუთე სეზონის მონაწილეა და ლევან ახვლედიანთან ერთად ცეკვავს, ტრავმირებულია. როგორც მისი დედა, ასევე მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე აცხადებს, მის შვილს ნეკნი აქვს გაბზარული და ექიმების დახმარება ესაჭიროება, თუმცა მარიამი ჯიუტად აგრძელებს რეპეტიციებზე სიარულს, გაუსაძლის ტკივილებს ტკივილგამაყუჩებლებით უმკლავდება და პროექტის დატოვებასაც არ აპირებს.

ინფორმაცია თამრიკო ჭოხონელიძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა და დახმარება ითხოვა:

„ერთი თვეა მარიამი იტკიებს მარჯვენა ფერდთან ერთ ადგილს, გაუსაძლისი ტკივილები აქვს და სულ გამაყუჩებლებითაა. ერთი თვეა ვეხვეწები წამომყვეს ექიმთან, მაგრამ არ მომყვება. კვირას, პროექტის ექიმმა ძალით წაიყვანა და აღმოჩნდა, რომ გაბზარული ნეკნით დადიოდა, აღარ ვამბობ, რომ ასე ცეკვავდა ამ ბოლო 4 ტურის მანძილზე. მალავდა, რომ არ გვეთქვა გამოსულიყო პროექტიდან. ნორმალურია ეს საქციელი?! გულშემოყრილი ვარ. შეხორცება დაწყებული აქვს, მაგრამ ტკივილები აქვს ძლიერი. გუშინ გამაყუჩებლებით და მოყინვით იცეკვა. ამაში ჩემი ასლია, ძალიან ტკივილმომთმენია. დაბნეული ვარ, ისიც არ ვიცი ამ სიტუაციაში როგორ მივეშველო, რომ ტკივილი ცოტა მაინც შევუმსუბუქო. მაპატიეთ, რომ მოგახვიეთ თავს ჩემი პრობლემა, მაგრამ ალბათ გამიგებთ, მეგობარი სწორედ ამ დროს გინდა! ამიტომ დამაგვიანდა მეთქვა თქვენთვის უდიდესი მადლობა ასეთი მხარდაჭერისთვის! ვერ წამოიდგენთ, რა გახარებული და იმედიანი იყო. ღმერთმა გაგახაროთ და გაგაძლიეროთ! დიდი მადლობა! მიყვარხართ!“

## ზურა გორგაძე გოჩა ჩერტკოევის წინააღმდეგ

ეკა ირემაშვილი



ტელეწამყვანი ზურა გორგაძე „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურის ერთ-ერთ წევრს, გოჩა ჩერტკოევს უპირისპირდება. მან პროექტი სამშაბათს დატოვა თავის მეწყვილესთან სალომე ჭაჭუასთან ერთად.

როგორც ზურამ განაცხადა, მათი წყვილის შოუდან გაგდებისთვის გოჩა ჩერტკოევმა ყველაფერი გააკეთა. სოციალურ ქსელში მან სპეციალური განცხადება გაავრცელა და ჩერტკოევი მიზანმიმართულ ქმედებებში დაადანაშაულა:

„რამდენი რამის თქმა მინდა და საიდან დავიწყო არც კი ვიცი, მაგრამ დავიწყებ ყველაზე მნიშვნელოვანი რამით, ულრმესი მადლობით, რომელიც თქვენ, ჩემო მეგობრებო, უბრალოდ ნაცნობებო, ფეისბუქ-მეგობრებო, მთლიანად საზოგადოებას გეკუთვნით. მადლობა ძალიან ცოტაა იმის სანაცვლოდ, რაც თქვენ ჩემთვის გააკეთეთ! არ არის მარტივი მასისთვის ჯერ კიდევ უცნობი ადამიანი თითქმის ფინალამდე მივიდეს. პროექტმა ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი რაც მომცა, ეს თქვენი გულშემატკივრობა, უამრავი თბილი შეტყო-

გაგრძელება მე-11 გვერდზე



## hჰχცეχჰლბ ფ

**შვეულად:** 1. ფრანგი პოსტიმპრესიონისტი მხატვარი; 2. მეთოთხმეტე საუკუნის სპარსელი პოეტი; 3. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 5. სოფელთა სახელწოდება ესტონეთში; 6. ვიწრო გასასვლელი ძნელად მისადგომ ადგილებში, ტყეში, ჭაობში, მთებში; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 14. საკანცელარიო ნივთი; 15. გიგანტური აფრიკული ფოთლოვანი ხე; 19. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში.

**თარაზულად:** 1. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 4. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონთა კრებული; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 9. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 12. ძველბერძენი დრამატურგი; 16. მხარე გერმანიაში; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულებას ადგენენ მტკიცების გზით; 18. იტალიური ყველი; 20. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 21. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 22. სპილენძის შენადნობი ნიკელთან.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## იუმორი



მეგობარი მეგობარს ეუბნება:

— გოგონა შემეძინა!

— გილოცავ, როგორ არის საქმე?

— ადრე სახლში ერთი ქალი მყავდა, რომელიც თავზე დამჩხაოდა, ახლა უკვე ორნი არიან...

●●●

გოგონები მობილური ქსელის აბონენტებივით არიან: ხან მუდმივად დაკავებულია, ხან მიუწვდომელი, ხან თქვენ ანგარიშზე საკმარისი თანხა არაა დარიცხული.

●●●

ინგლისელი, ფრანგი, ჩინელი და რუსი კამათობენ, თუ რომელი ეროვნების იყვნენ ადამი და ევა. ინგლისელი ამტკიცებს:

— ისინი მხოლოდ ინგლისელები შეიძლება რომ ყოფილიყვნენ, ვინაიდან, მხოლოდ ჯენტლმენს შეეძლო შეეთავაზებინა ქალბატონისთვის ნახევარი ვაშლი.

— არა, ადამი და ევა ფრანგები იყვნენ, — ამტკიცებს ფრანგი, — იმიტომ, რომ მხოლოდ ფრანგ ქალს შეეძლო მამაკაცს ნახევარი ვაშლის სანაცვლოდ დანებებოდა.

ჩინელი ამბობს:

— ჩინელები იყვნენ, იმიტომ, რომ მხოლოდ ორ ჩინელს შეეძლო ასე გამრავლება და მთელ დედამიწაზე დასახლება.

— არა, — ამტკიცებს რუსი, — ისინი რუსები იყვნენ, იმიტომ იყვნენ შიშვლები, ერთი ვაშლი ჰქონდათ და თავი სამოთხეში ეგონათ.

●●●

ქალი ავტოსალონში შევიდა და გამყიდველს მიმართა:

— გამარჯობა, ,,რენოს“ ყიდვა მინდა.

— მოდელი?

— არა, მაგრამ გმადლობთ კომპლიმენტისთვის!

●●●

როგორც ახლახან რუსეთში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რუსების სამი მეოთხედი თავს ბედნიერად თვლის, ხოლო დანარჩენები არ სვამენ.

●●●

მამაკაცს, რომელსაც სურს, ქალს გაუგოს, ორი თვისება სჭირდება — ერთი ყურიდან უნდა შეუშვას და მეორიდან გამოუშვას ის, რასაც ქალი ამბობს და მეორე, უნდა ესმოდეს ის, რის თქმასაც ქალი ერიდება!

●●●

მაღაზიიდან გამოსულ მამაკაცს მეგობარი შეხვდა და მოკითხვის შემდეგ ეკითხება:

— ამდენი მზესუმზირის პაკეტი რად გინდა?

— ცოლი მანქანით შორ გზაზე მიმყავს და მინდა, მანქანაში სიჩუმე იყოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა




**ვერძი** — დიდი წარმატება გელით! **კურო** — ფული გაქვთ, მაგრამ ცოტა ხვალისთვის შემოინახეთ. **ტყუპები** — არ აყვეთ პროვოკაციას, თავს მიხედეთ. **კირჩხიბი** — მხოლოდ აუცილებელი საქმეები აკეთეთ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, ყველაფერი გაქვთ, რაც გსურთ. **ქალწული** — ნურავის საქმეში ჩაერევით, არ ღირს ვინმეს განაწყენება. **სასწორი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ღრიანკალი** — მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგივათ. **მშვილდოსანი** — ნუ დაივიწყებთ მეგობრებს, არც ისინი დაგივიწყებენ. **თხის რქა** — რაღაც კითხვები გაწუხებთ, მაგრამ ყველაფერს გაარკვევთ. **მერწყული** — თქვენი ოპონენტი გააქტიურდა, ფრთხილად იყავით. **თევზები** — პრობლემები არ გაქვთ, საქმე კარგად წაგივათ.

ეხცეჰდტ,ს ,ტლყბტჰ ლქტს=